ეროვნული ბიბლიოთეკა


# მწყემსი




მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10 – 11.

მპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11–28.


№ 6—7 1883—1905 15 აპრილი


## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა მე-45 კრება ქ. ქუთაისში 16 მარტს.

როგორც იციან მკითხველებმა მე-44 რიგის კრება იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებს ჰქონდათ 16—20 აგვისტოს რიცხვებში წარსულ წელს. რიგის კრება უნდა მომხდარიყო ამ წლის ბოლოს, მაგრამ ექსარხოსისგან ქონდა დავალება იმერეთის ეპისკოპოსს, რომ მალე დაენიშნა რიგის კრება სასწავლებლის საქმეების გამო. ამას გარდა სამღვდელოების და სამრევლოების ურთიერთშორის გამწვავებულმა კითხვამ იძულებული ჰყო ადგილობითი მღვდელმთავარი მალე დაენიშნა ეს რიგის კრება. ეს უკანასკნელი კრება ისე საინტერესო იყო ყველასათვის, რომ დეპუტატებს გარდა სხვა სამღვდელოებაც ბევრი დაესწრო. პირველ დღესვე შეიკრიბა საკმაო რიცხვი დეპუტატებისა კრების გასახსნელად. ჩვეულებრივად დეპუტატები შეუდგნენ თავსმჯდომარის ამორჩევას. ზოგიერთმა პირებმა, რომელთაც თავმჯდომარეობა სთხოვეს კრების დეპუტატებმა, უარი განაცხადეს. ბოლოს ამორჩეულ იქმნა მღვდელ სიმონ მჭედლიძე კენჭის ყრით და საქმის მწარმოებელი ხმის მიცემით. თავმჯდომარის ამორჩევის შემდეგ მობრძანდა კრებაზე მათი მეუფება, ეპისკოპოსი ლეონიდი, კრება აკურთხა და უთხრა შემდეგი მგრძნობარე სიტყვა:

«ექვს გარეშეა, პატიოსანნო მამანო, გასაოცრად გეჩვენებოდათ ჩემ მიერ მოწვევა ამ არა ჩვეულებრივ ჟამს და არა ჩვეულებრივი სიჩქარით. მაგრამ სხვას რას ვხედავთ ეხლა ჩვენს გარშემო ჩვეულებრივს, დამშვიდებულს და დინჯს, რომ ჩვენს კრებას არ აჩნდეს აჩქარებისა და არა ჩვეულებრიობის ნიშანი! კვლავ დიდმარხვა ყველა მართლმადიდებლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა დროდ სინანულისა, ზნეობრივი მოღვიწეობისა, ეკკლესიაში გულსმოდგინედ სიარულისა, საღმრთო ფიქრისა და აზროვნებისა, ახლა კი ვხედავთ იმას, რაც არასოდეს არ გვინახავს და გვესმის ის, რაც ჩვენს სმენას არა სჩვევია. ხალხს დაუკარგავს გულის სიმშვიდე, ჩვენი სამშობლოს ყოველი მხრიდან მოისმის თავზარ დამცემი გრგვინვა ერის გულის წყრომის უშველებელი ზვირთებისა და, ჩვენდა საუბედუროდ, პირველი შოლტი ამ რისხვა-წყრომისა ჰვდება ეკკლესიას და მღვდლებს. არ ვფიქრობ, რომ ივერიის ეკკლესიას გადახედოდეს როდისმე თავისიანებისაგან იმისი მსგავსი რამ, რასაც ეხლა იგი განიცდის. ჩვენი ეკკლესიის მაღალი დაწესებულობის ერთ-ერთ ოქმში ამოვიკითხე, ვითომც იმერეთის ეპარქიის რომელიღაც ეკკლესიაში მრევლს გაემართოს საღმრთო მსახურების დროს ბანქოს თამაში. არ ვიცი, მართლა ჰქონდა ამ გვარ სამარცხვინო და საზიზღარ საქციელს ალაგი რომელიმე ეკკლესიაში თუ არა, მაგრამ ვიცი სხვა, არა ამაზე ნაკლები, შემთხვევანი. ავიღოთ თუგინდ შეგინება გამოჩინებულის წ. გიორგის ეკკლესიის. ზნეობრივი სიცოფის მოციქულებმა ხსენებული ეკკლესიის ხატები პირქვე დაამხვეს და დასტოვეს შხამ-გესლით აღვსილი ბარათი: «თუ ხატებს რამე ძალა აქვთ, აბა ახლა თითონ ადგენ და იპოვონ თავიანთი ალაგი»-ო; დახიეს წ. სახერება, ეკკლესიის იატაკს მოსდეს წმ. ნაწილები, ერთი ხატი ტყეში გადააგდეს და ფულები კი, რომლებიც ხატების წინ ელაგა, ხელიც არ ახლეს! ახლა წარმოვიდგინოთ რეები ხდება კულაშისა, ხონისა, ვანისა, შორაპნისა და სხვა საბლალოჩინო ოლქების ეკლესიებში!? რა მოთხოვნილებებს და ბრძანებებს უყენებს ხალხი მღვდლებს, რა ნაირი წესით უბრძანებს მათ წირვა-ლოცვის შესრულებას, მრევლის დამწყსვას და შესრულებული სამსახურისათვის სასყიდლის მიღებას! მაგრამ რა საჭიროა ყველა ამაზე სიტყვის გაგრძელება, როდესაც ბევრმა თქვენგანმა თავის თავზე გამოსცადა სიმწარე ხალხის უცნაური მოთხოვნილებისა და ყველა თქვენგანს მხოლოდ მოგონებათ-ღა აქვს დარჩომილი მრევლისაგან პატივისცემა და შემოსავალი.

დიალ, იბღალება ჩვენში სარწმუნოება, ილანძღება მღვდელი, ითელება და მიწასთან სწორდება მისი მატერიალური მდგომარეობა, მისი სახელი, მისი გავლენა და პატიოსნება, მთლათ ილახება მისი კაცობა!

რამ გამოიწვია ასეთი მძაფრი ცეცხლი სარწმუნოების განადგურებისა და მოძღვართადმი უსაზღვრო ზიზღისა? აკი ყოველ დღე თავი მოგვჰონდა და ვიქადოდით—ჩვენი სამწყსო მეტად ერთგულია სარწმუნოებისა, ჩვენს ხალხს თავგანწირულებამდე უყვარს ეკკლესია, ჩვენი მრევლი მორჩილი და პატივისმცემელია თავისი მოძღვრისაო? სადაა დღეს ყველაფერი ეს და რომელმა ქარმა გაიყოლია თან?

ყოველი მოვლენა აუცილებელი შედეგია რომელიმე მიზეზისა, ყოველ მოძრაობას ესაჭიროება ნიადაგი და, იქნება, ჩვენდა საწინააღმდეგო მოძრაობის ნიადაგი ჩვენვე დავიმუშავეთ? იქნება, ჩვენ ვიმკით დღეს იმას, რაც წინად ვთესეთ და ვფარცხეთ? ჯერ არ ვიცით, რამდენად ბრალდებულად გამოგვიყვანს ჩვენ იმერლობა ეკკლესიის დამცირების საქმეში, ვიცით მხოლოდ, რომ ესეთი მძიმე ბრალი სავსებით აქვს თავს მოხვეული გურიის სამღვდელოებას, თუ რაშიმე სარწმუნოთ მივიღებთ იმ წერილებს, რომლებიც დაიბეჭდა ქართულ გაზეთებში ამის შესახებ,, თუ ეს წერილები გამოსთქვამენ ხალხის შეხედულობას, თუ მათში ხალხის ნაცვლად არა ბჭობს ცალმხრივი, წინ-განზრახული შემცდარი აზრებით გატაცებული, ლაღი, თავგასული კორესპონდენტი. საოცარია მხოლოდ, რომ გურიის სამღვდელოების კრება არ ცდილა სრულებით ამ ლანძღვა-შეურაცხების თავიდან ასაცილებლად წარედგინა გასამართლებელი საბუთები კრიმგირეისთვის, სასულიერო და სამოქალაქო უმაღლესი მთავრობისთვის, არ ცდილა გამოეთქვა პროტესტი გაზეთის, ან საზოგადოებაში გასავრცელებლად დაბეჭდილი წიგნაკების საშუალებით. გურიის სამღვდელოება ჩვეული არ არის დამცირებას და თავმოყვარეობის შელახვას, სხვა და-სხვა უბრალო უსიამოვნების მიყენებას გულის სიღრმემდე აუშფოთებია, ფეხზე დაუყენებია იგი და, საკვირველია, ეხლა რატომ დასდო საცო პირსა თვისსა?! მაგრამ ეს სხვათა შორის, ცოტა არ იყოს, გზას გადავცდით. დღეს საკუთარი თავი გვაქვს საფიქრებელ-საზრუნველი, ჩვენ შესახებაც გაისმის ხალხში საზრუნავი. გთხოვთ გულმოდგინეთ, ჯერ კიდევ სინამ საქმე მთლად არ გამწვავებულა, გამოიკვლიოთ და გამოიწვლილოთ რამ დაბადა ხალხში უკმაყოფილება სამ-

38

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვდელოებაზე, რა ზომები უნდა მივიღოთ ეხლავე, რომ აღდგინდეს მრევლთა და მღვდელთ შორის სასურველი დამოკიდებულობა, რა გზას უნდა დაადგეს მღვდელი, რომ დაამშვიდოს მრევლი, შეირიგოს იგი, მოიპოვოს ხალხში შესაფერი გავლენა და პატივისცემა. ამას მოითხოვს ჩვენი სამსახურის საღმრთო მოვალეობა, ამას გვავალებს მშობელი ერისადმი პატივისცემა, ესაა მცნება ჩვენი პირადი ადამიანობის ღირსეულად დაცვა-გამოსარჩლებისა.

ამაზედ არა ნაკლებად საყურადღებო და საზრუნავ საგანს წარმოადგენს თქვენთვის თქვენი მოსწავლე ვაჟებისა და ქალიშვილებისაგან უარის განცხადება მეცადინეობაზე. მე თვითონ ვიყავ მოწამე, როგორ აიღეს ხელი მეცადინობაზე ამ სასწავლებლის მოწაფეებმა. ბევრი ვარიგე, ბევრი ვამშვიდე, ბევრი ვემუდარე და ვებაასე აღელვებულ ბავშვებს, მაგრამ არა გარიგდა-რა და მოწაფეები არ დასყნარდენ. ბოლოს მეც დავრწმუნდი, რომ ბოვშებს არ შეეძლოთ დაწყნარებულიყვნენ, რადგანაც მათ გარეშემო ყველანი ღელავდენ, ყველა გრძნობდა უსიამოვნებას, ყველანი აიძულებდენ მათ მოძრაობაში ჩარევას და მათ იმდენი ფიზიკური და გონებრივი ძალა არ შესწევდათ, რომ გარეშე წრეების იძულებითი გავლენისათვის წინაამდეგობა გაეწიათ. ამავე გარემოებამ ათქმევინა უარი საეპარქიო ქალების მაღალი კლასების მოწაფეებს; როგორც იყო დაბალ კლასებში დღევანდლამდე მეცადინობენ მოსწავლენი და დღეს კი იმათაც გადაჭრით გამოუცხადეს თავიანთ უფროსებს: «რადგანაც აღარც ერთ სასწავლებელში აღარ მეცადინობენ, ჩვენც ხელს ვღებულობთ გაკვეთილებზე და ვეთხოვებით სასწავლებელსო“.

„გთხოვთ ამ გარემოებასაც გაეცნოთ ზედმიწევნით, შეიტყოთ რამ გამოიწვია თქვენი შვილების ამგვარი საქციელი, რა სწადიათ პირადად მოსწავლეებს, რა ზომებია საჭირო მათი სასწავლებელში დაბრუნებისათვის და სხ. დანარჩენი კითხვები თქვენთვის ჩვეულებრივნი არიან და მათი ანუსხვა საჭიროდ არ მიმაჩნია. ღმერთი გიძღოდეთ კეთილ საქმეში და მოსაზრებაში. იმედია, გამოიჩენთ საჭირო წინდახედულობას და არავის არ მისცემთ საგულისხმო კრების უდროოდ დახურვის საბუთს». კრება აკურთხა და შინ წაბრძანდა. 16 ს რიცხვს სამღვდელოების კრებას საგნებზე აღარ ჰქონებია მსჯელობა და კრება მეორე დღის დილისათვის გადაიდვა.

17 მარტს კრება გაიხსნა ცხრა საათზე. პირველი კითხვა, რომელიც სამღვდელოების კრებამ წამოაყენა განსახილველად შეეხებოდა დღევანდელ სამღვდელოების და სამრევლოების გამწვავებულ მდგომარეობას. სამღვდელოების კრების დეპუტატები იკვლევდა იმ მიზეზებს, რომელთაც დაბადეს მღვდლებსა და მწყემსთა შორის არა სასიამოვნო დამოკიდებულება, სიმძულვარე, დევნა, დრამის ფულების და ზოგიერთ მღვდელმოქმედებისათვის სასყიდლის მოსპობა. ამ კითხვის შესახებ თითქმის ყველას სურდა თავისი აზრის და შეხედულობის გამოთქმა. პირველად სიტყვის თქმა შეხვდა დეპუტადს მღვდელს ი—მე მო—ძეს.

დეპ. მ. ი. მ—ძე. ყოველი პირი, რომელსაც მღვდლობა სურს გამსჭვალული უნდა იყოს სახარების სწავლა-მცნებით. ეს პირი თავის სწავლით, რწმენით, ცხოვრებით და მოქმედებით აშკარად უნდა ამტკიცებდეს, რომ ის მზათ არის თავის სიცოცხლე შესწიროს თავის სამწყსოს კეთილ-დღეობას და კეთილად დამწყსვას. სამღვდლოდ გამზადებულს ყოველთვის ეს აზრები უნდა უტრიალებდეს თავში და ესეთი აზრები და ფიქრები უნდა აიძულებდეს მას მღვდლობის ხარისხის მიღებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზედ არც ერთი სამღვდლოდ გამზადებული პირი არა ფიქრობს. ჩვენს დროში სამღვდლოდ მიდიან ისეთი პირები, რომელთაც აიძულებს გაჭირვება და შიმშილი; მათ სხვა სამსახური ვერ უშოვიათ დ იძულებულნი არიან მღვდლად წავიდენ. ამისთანა მღვდლები ცხოვრებაში არაფერს არ ერიდებიან და თავიანთ ცუდი ყოფაქცევით ისე შეძულებიან მრევლს, რომ სრულებით აღარაფერი მათი არა სწამთ».

მამა ი. მ—ძის განქიქება კრების წინაშე ბევრად მეტი იყო, მაგრამ ჩვენ აქ სრულებით აღარ მოგვყავს მისგან ყველა თქმული. გარეშე ერის კაცებს, რომელნიც საკმაოდ ბევრნი იყვნენ კრებაზე ძლიერ მოეწონათ ხსენებულ დეპუტატის სიტყვა და ტაშის კვრით დააჯილდოეს. შემდეგ მამა მ—ძისა ილაპარაკა მამა დეპუტატმა არ. ბ—შვილმა.

დეპ. ა. ბ—მა უფრო ვრცლად განმარტა მისგან მოყვანილი მოსაზრებანი და დასძინა: «ჯვარი, რომელზედაც ერთის მხრით ჯვარცმული ქრისტე არის გამოსახული და მეორეს მხრით მღვდლისათვის დიდად საყურადღებო სიტყვებია დაწერილი, ჰ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნა მღვდლისთვის «ბლიახად» არა შებრალებისა და თავიანთ სამწყსოთა დასაცველად, არამედ სიმდიდრის შესაძენად და ნიშნად სხვა-და სხვა პოლიტიკურ საქმის სამსახუროდ და სხვ... ამისათვის ხალხმაც შეიძულა თავიანთი მოძღვრები და აღარაფერი არა სწამთ მათი. ჩვენ ძლიერ დავშორდით მეთვრამეტე საუკუნის სამღვდელოებას და მიტომაც მოისპო ჩვენსა და სამრევლოს შორის ის კეთილი განწყობილება, რომელიც არსებობდა ძველ დროში“

ერის კაცებს მამა ბ—ლის სიტყვაც ძლიერ მოეწონათ და ისიც დააჯილდოვეს ხანგრძლივი ტაშის კვრით...

მ. ბ—ლის შემდეგ სიტყვა შეხვდა მ. მ—იანს. მამა მ—იანმაც ზემოხსენებული ორატორების მსგავსად დაასურათა არა სანატრელი მდგომარეობა ეხლანდელი დროის სამღვდელოებისა და მისი მოღვაწეობისა და დასძინა: „მრევლი განათლდა, შეიტყო მან თავისი უბედური მდგომარეობა. მას იმედი ჰქონდა, რომ მღვდელი გამოაღვიძებდა მას და წინ წაუძღვებოდა, გარნა ძლიერ მოსტყუვდა. ჩვენ მათი სულიერი მამები არა თუ წინამძღოლობა გაუწიეთ მათ, არამედ გვერდზედაც არ გავყევით, და არა თუ გვერდზე—უკანაც არ მივყვებით. აი, ამან გამოიწვია ის გამწვავებული მდგომარეობა ჩვენი და თუ არ გამოვფხიზლდებით კიდევ უარესი დაგვემართება“.

არც ეს დაუტოვებიათ დაუჯილდოვებლად ტაშის კვრით...

სხვათა შორის სიტყვის ნება მიიღო მღვდელმა კ. ხ—ძემ, რომელმანაც განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია სემინარიის პროგრამის უვარგისობას და გამოიყვანა ის დასკვნა, რომ დღევანდელი სემინარია სრულებით ვერ ამზადებს სამღვდელოდ თავის მოწაფეებს; მათ ქართული არ იციან და ქართულს ვერ ახერხებენ. ეს მოუმზადებლობა ძლიერ უშლის მათ ხელს და მისი ბრალია რომ მრევლმა შეიძულია მღვდლებიო და აღარაფერს არ აძლევენ მათ სარჩოთო...

ყველა თხოულობდა სიტყვის თქმას და ყველასაც ეძლეოდა ნება სანამ თვითონ არ მოწყინდებოდა ლაპარაკი. ბოლოს სიტყვის ნება ითხოვა დეკ. დ. ლამ—ძემ.

დეკ. დ. ლამ—ძე. ბევრი სიტყვა წარმოითქვა იმ მიზეზების გამოსაკვლევად, რომელთაც გამოიწვიეს ითომც ეხლანდელი სამწუხარო დამოკიდებულობა მწყემსთა და სამწყსოთა შორის. ის განქიქება თავის ულირსებისა და ცოდვებისა, რომელიც წარმოითქვა მამა ი. მ—ძემ ძლიერ საქები საქმეა როცა კაცი წარმოსთქვამს მაცხოვრის ხატის წინაშე დაჩოქვილი ან მდგომი, მაგრამ უადგილოდ მიმაჩნია კრების წინაშე. ესეთი თავის ცოდვების განქიქების დროს მთელ სამღვდელოების წოდებას კი არ უნდა ვგულისხმობდეთ, არამედ თავის თავს. არავის არა აქვს უფლება თავის ცოდვები სხვას მოახვიოს თავზე. თორმეტ მოციქულებში ერთი იუდა გამცემელი აღმოჩნდა, მაგრამ სხვა თერთმეტი კი მართალნი და ერთგულნი ქრისტეს მოსამსახურენი დარჩენ... არ არის მართალი ზოგიერთებისაგან წარმოთქმული მოსაზრება, რომ ეხლანდელი მოძღვარნი ვერ შეედრებიან სიწმიდით, სწავლა-მეცნიერებით და ყოფა ქცევით მეთვრამეტე საუკუნის სამღვდელოებასო. არ არის მართალი, რომ მეთვრამეტე საუკუნის მღვდლები დღევანდელ ნასწავლ მღვდლებზე გონებით მეტი განათლებულნი იყვნენ. არ არის მართალი, რომ მეთვრამეტე საუკუნეში არც ერთი სასულიერო პირი არ დამთვრალიყოს და სხვა ცუდი რამ საქციელი არ ჩაედინოს. თუ კარგად გადავათვალიერებთ ჩვენი ძველი დროის ცხოვრების ისტორიას თქვენ დაინახავთ, რომ ეპისკოპოსებისა და მღვდლებისათვისაც აუხდიათ მინიჭებული ხარისხი და მდაბალ ხარისხზე ჩამოუყვანიათ, რასაკვირველია, არა კეთილ ყოფაქცევისათვის... არ ყოფილა არასოდეს, რომ თითო-ორ-ორი ცუდი ყოფაქცევის პირი სამღვდელოებაში არ აღმოჩენილიყოს, მაგრამ არ მომხდარა რომ ამ თითო ორ-ორი პირის საქციელის გამო მთელი სამღვდელოება შეეძულებიოს ხალხს. არც ის არის მართალი, რომ მთელს მრევლს გადაეწყვიტოს მღვდლების შიმშილით ამოხოცვა და გაძევება სამრევლოთაგან. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე დაცემულიყოს ჩვენში სარწმუნოება. მართალია ჩვენში სარწმუნოება დასუსტდა და ზნეობა დაქვეითდა, მაგრამ ამის მიზეზი სულ სხვა არის და არა ის, რომ მრევლს ბაირაღებით არ გაუძღვენ წინ და არც უკან გაყვენ მათ...

თოთხმეტი და თუთხმეტი წლის ბავშვები უქადაგებენ ხშირად მრევლს, რომ მღვდლებს ნუ მიიღებთო, მღვდლები მატყუარები არიანო, ხატი საჭირო არ არისო და სარწმუნოება რას მიქვიანო და სხვა... წარმოიდგინეთ ყველა ამისთანა ღამე მქადაგებელნი

იძახიან: კომიტეტისაგან ვართ გამოგზავნილიო. მაგრამ ეს ტყუილია. იქ სადაც კომიტეტი არსებობს არც მღვდელი გამოუგდიათ ეკკლესიიდან, და არც ერთი ეკკლესია არ დაუწვავთ. წარმოიდგინეთ არც ერთი სკოლა და სოფლის კანცელარიაც არ დაუწვავთ! მაშასადამე ეს მქადაგებელნი კომიტეტის გამოგზავნილნი არ არიან. თუ ჩვენი მრევლის უმეტესობა ეთანხმება ამისთანა მოქადაგეთა ეს ცხადათ ამტკიცებს ჩვენი ხალხის დაცემას სარწმუნოების მხრით. ამაში ხომ მღვდლები იქნებია დამნაშავენი? მაგრამ, სასიხარულოდ, უნდა ვსთქვათ, ხალხის უმეტესობა მორწმუნეა და ურწმუნოება ჩვენში დრამის გადასახადს არ შემოუტანია, მღვდელმოქმედების ასრულებისათვის საჩუქრების მიცემა არაფერ შუაშია. სარწმუნოება და კეთილი კავშირი მღვდელსა და მრევლს შორის სუსტდება ჩვენში სულ სხვა მიზეზებისა გამო, რომელზედაც მე ეხლავე მოგახსენებთ: მოციქულების კანონით დიდი უფლება აქვს მღვდელთმთავარს მინიჭებული მღვდლის არჩევის და კურთხევის საქმეში, მაგრამ საქმით ჩვენში სხვას ვხედავთ. მღვდელთმთავარს არა აქვს უფლება ვინმე მედავითნედ განაწესოს რაჭაში და ...ანეთში თუ სლავიანურად რვა ხმაზედ არ იგალობა: „უფალო ღაღად ვყავი“. ძველი წეს-წყობილებით მრევლის დაუკითხავად არავის ნება არ ჰქონდა ეკკლესიის ფულები წაეღო სხვა რამე საჭიროებისათვის, მაგრამ დღეს მრევლს არაფერს არ კითხავენ... შორს წაგვიყვანს ჩვენ დაწვლილებით აღნუსხვა იმ სამწუხარო მოვლენათა, რომელნიც მომდინარეობენ ზემო აღნიშნულ უფლებათა მოკლე...თ. არა გვჯერა, რომ ეს გამოურკვეული მდგომარეობა მრევლთა და მწყემსთა დიდხანს გაგრძელდეს. დარწმუნებული ვარ მალე შეიგნებს ვისიც რიგია ამას და ბოლო მიეცემა ამ სამწუხარო მდგომარეობას. ჩვენის მხრით საჩივრების განცხადება და ადმინისტრაციის დახმარება, ეხლანდელ დროში მაინც, ზედმეტი იქნება. ამ ზომების ხმარებით მრევლს უფრო შეძულდება მღვდელი. ჩვენ ნიადაგ უნდა გვახსოვდეს და არ უნდა დაგვავიწყდეს მაცხოვრის სიტყვები, რომელიც ბრძანებს: «თუმცა მე მდევნეს თქვენცა გდევნეს, თუმცა მე მომიძულეს თქვენც მოგიძულონ. იცოდეთ, რომ სოფელი თვისთა ვარობდა...

(შემდეგი იქნება)

დამსწრე.

---

## მოძღვართა კრებები, საუკეთესო ფორმა სამღვდელოების ურთიერთობისა.

(რუსულიდან)

ეხლანდელს დროში ერთობის საჭიროების შეგნებას სულ უფრო და უფრო იწყებს სამღვდელოება. ამავე დროს ეს საკითხი დაჟინებით ირკვევა დროგამოშვებითი სასულიერო გამოცემებში, სადაც ნაჩვენებია სასურველი დაახლოვების გონივრული საშუალებანი. საუკეთესო საშუალებად ამისათვის ყველასაგან ერთხმად აღიარებულია მოძღვრული კრებები, შედგენილი თვით სამღვდელოების მიერ, თანახმად მათისავე სურვილისა და შეთანხმებისა. ზოგიერთს ეპარქიებში უკვე მოხდა პირველი ცდა მოძღვართა კრებებისა და კიდეც დამტკიცდა მათი დიდი მნიშვნელობა

სამხედრო წოდების სამღვდელოებაში დიდი ხანია რაც ასეთი კრებები ხდება, ეპარქიის სამღვდელოებაში კი მოძღვრული კრებები ეხლა იწყება. ასეთი კრებები გაიმართა ვლადიკავკავში 1902 წლიდან, კოსტრომაში და კიევში 1903 წელს, ხოლო პეტერბურგის ეპარქიის, გდოვის მაზრის სოფელ სტაროპოლიეში პირველი მოძღვრული კრება მოხდა წარსულ წლის სექტემბრის თვეში. ჩვენ გვსურს გავაცნოთ სამღვდელოებას ამ კრებების წეს-რიგი, მათი მიზანი, რომ უფრო ადვილად დავასურათოთ მათი სასარგებლო მხარეები, გამოვიწვიოთ მით მიბაძვა და ამასთმნავე საკუთარი აზრიც გამოვსთქვათ ამ საკითხის შესახებ.

გარეგანი წესი მოძღვრული კრებებისა არ არის რთული და არც მშრალ-ფორმალური მოწყობილობით განსხვამდება. ეს არის ძმური და მეგობრული კრება ეკკლესიის მწყემსთა თავიანთ მოწაფეთა სარწმუნოების-ზნეობის განმტკიცებისა დ ამაღლებისათვის, კრებებში იღებენ მონაწილეობას მოძღვრებს გარდა ეკკლესიის კრებულის სხვა წევრნიც, ეგრეთვე სამრევლო სკოლის მასწავლებელნიც, როგორც დაახლოვებული თანამშრომელნი სამღვდელოებისა ხალხის წარმატების საქმეში. საზოგადოდ კრების წევრნი ერთმანეთის თანხმობით, ანუ კრების უფროსის ჩვენებით, უკეთუ ასეთი იქნება საქმის ინიციატორი, თავს მოიყრიან დანიშნულ დროს, დანიშნულს ადგილზე; იგინი თავის შორის ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელმაც უნდა განაგოს კრების საქმე, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ შეავიწროვოს თავისუფლება მსჯელობისა. კიევში, მაგ., მოძღვრული კრებები ხდებოდა ქორ-ეპისკოპოზის თავმჯდომარეობით, პეტერბურგის ეპარქიაში—ეპარხიალური მისიონერის ხელმძღვანელობით, კოსტრომის ეპარქიაში კი სამღვდელოება თავის შორის ირჩევს თავმჯდომარეს. პირველად, რასაკვირველია, ყველგან ლოცვა კურთხევა გამოითხოვება ადგილობითი მღვდელმთავრისაგან. კრება იწყება და თავდება საერთო ლოცვით. მსჯელობის საგნებია სხვა-და სხვა კითხვების განმარტება საეკლესიო-საზოგადო ცხოვრებიდან და მოძღვრის პრაქტიკიდან. განიმარტებიან საეჭვო კითხვები, გამოწვეულნი, მაგ., ნათვლისა, ალსარებისა და სხვა გარემოებათა გამო; განიმარტებიან კერძო ხასიათის კითხვები: თუ როგორ უნდა უცქეროდეს მოძღვარი თეატრს, ცეკვას ოჯახურს საღამოებს, დღესასწაულების წინ მომხდართ და სხ. განიმარტებიან სრულიად მეცნიერული ხასიათის კითხვებიც, განხილულნი საერო და სასულიერო ლიტერატურაში, ამისათვის კრებაზედ წაიკითხება სხვა-და-სხვა ჟურნალებიდან შესანიშნავი სტატიები და გამოითქმება საერთო აზრი მათ შესახებ. ხდება მსჯელობა თანამდროვე ცნობილთა ავტორთა, მაგ., მღ. პეტროვისა და პოსელიინინის საზოგადოთ გავრცელებულ თხზულებათა შესახებ. პეტერბურგის მოძღვრულს კრებაზე აღძრულ იყო კითხვა ახალი მწერლის მაქსიმე გორკის თხზულებათა შესახებაც და რადგანაც ხსენებული მწერლის თხზულებანი ცალკე გამოცემებით სოფლებშიაც ვრცელდებიან, კრება ბეჯითად შეჩერდა იმ მავნებელს მოქმედებაზე, რომელიც გამოიწვია გორკის თხზულებამ განსაკუთრებით გამოუცდელს და უსუსურს მკითხველებზე. ეს უკანასკნელნი, ხშირად გატაცებულნი შიშველ-ლატაკთა (БОСЯКОВЪ) იდეალური გამოხატულებით, თვითონვე იწყებენ „უწმიდურს" ცხოვრებას, სცდილობენ რა სინამდვილით აღასრულონ ის, რამაც მათზედ იმოქმედა გორკის თხზულებებში. კრებებზე ხდება მსჯელობა, ხალხთან საკითხების გამართვაზე, სამღვდელოების მონაწილეობაზე განათლების საქმეში და სხ..

ზეპირი ბაასის გარდა, კრებებზე იკითხება წინ და-წინვე დაწერილი ორიგინალური სტატიებიც, სამღვდელოების ინტერესებთან შეთანხმებულნი, მაგ., კოსტრომის ეპარხიის ერთს კრებაზე 1903 წელში (წლის განმავლობაში ასეთი კრება იყო 16) წაკითხული იყო სტატია კეთილი მოძღვრის მოვალეობაზე და თანამედროვე ოჯახის დაყოფაზე; კიევში მოსმენილი იყო რეფერატი „კითხვისა გამო საეკლესიო სამწყსოზე და მის განახლებაზე თანამედროვე ლიტერატურაში". ცხადია, რომ კრებებზე მოხდება ბეჯითი განხილვა გამოთქმული აზრებისა, მათი კრიტიკული დაფასება. რასაკვირველია, მსჯელობის უფრო მდიდარს მასალას წარმოგვიდგენს მოძღვრის ყოველ-დღიური გამოცდილება, მდიდარი როგორც სასიამოვნო, ისე სამწუხარო მოვლენებით, რომლებიც თვითეულს ფეხის გადადგმაზე გამოიწვევენ ხან ნუგეშს, ხან გაუგებლობას და ხან შეწუხებას. ასეთია გარეგანი სახე მოძღვრული კრებებისა, ადვილად შესათვისებელი და შესასრულებელი სამღვდელოების მიერ.

(შემდეგი იქნება)

მღ. სერგი მაჭარაშვილი.

## გაზ. „რუსი" და ეროვნული საკითხი

რუსეთში ცხოვრებენ მკვიდრი რუსები და არა-რუსებიც,—არა-რუსი, სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელი, თითქმის მთელი რუსეთის მესამედია. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ თანამედროვე რუსეთის მდგომარეობა სრულებით არა ჰგავს უწინდელ რუსეთს.

რუსეთი თანდათან განვითარების გზას ადგა და თავის ეროვნულ ტერიტორიას გადასცილდა, მაგრამ მის საზღვრებში მოქცეული სხვა-და-სხვა ერი არ უნდა დარჩეს სამუდამოდ მკვიდრ რუსების მონად, ყოველივე საპოლიტიკო უფლების მოკლებული.

მონობა,—რა სახისაც უნდა იყოს იგი,—ამჟამად ისპობა ყოველგან და ყველაფერში. მართალია, მონობის პრინციპი, რომელზედაც იყო აშენებული ძველი დროისა და საშუალო საუკუნოებ̈ის წესწყობილება, ეხლაც აქა იქ თავს იჩენს სხვა-და სხვა სახით (ეკონომიური მონობა, კაპიტალისტისაგან მშრომელის დამონავება), მაგრამ მაინც ეხლანდელი მონობა არა ჰგავს უწინდელს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინად მონები თუ იტანდნენ მორჩილად თავიანთ მდგომარეობას, ახლა, სამაგიეროდ იბრძვიან, ცდილობენ დაამსხვრიონ თავიანთი ბორკილი.

თუ უნდათ რუსებს უწინდელივით იყოლიონ მონები, წინდაწინვე უნდა იცოდნენ უთუოდ, რომ ამ მონობას მათთვის ვერაფერი სასიამოვნო შედეგი ვეღარ მოჰყვება. უნდა იცოდნენ, რომ ყოველივე მონა, რუსეთის შეურიგებელი მტერი იქნება შემდეგში.

ეს უბრალო ჭეშმარიტება ნათლად ხდის იმ სიბრმავეს, რომელსაც იჩენდნენ ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთები, როდესაც ჰქადაგებდნენ „განაპირა ადგილების" გარუსებას, როდესაც ცხოვრებაშიაც ადგნენ ამ პრინციპებს და ძალით „არუსებდნენ" ყველას.

რუსების ნაციონალისტები იმავე საბუთით ამართლებდნენ რუსეთში გაბატონებულ ეროვნულ მონობას, რა საბუთებზედაც ამყარებდნენ თავიანთ ბატონობას ბალტიის მხარეში გერმანელები. ჩვენ შემოვიტანეთო აქეთკენ ქრისტიანობა, ჩვენ ვუწყალობეთო აქაურ მცხოვრებლებს ჩვენი ნასუფრალი ევროპის კულტურის ზოგიერთი რამ. ჩვენ დავამყარეთო აქ ხალხის კეთილდღეობა, მონებს ვასწავლეთ შრომა, იმ მონებს, რომელნიც ჩვენ მოსვლამდის ერთმანეთს ჟლეტდნენ... და ამ სიკეთისათვის ბალტიის მხარეში შემოსული უცხოელები ითხოვენ იქ სამუდამო გაბატონებას...

ასევე ლაპარაკობენ ჩვენებური ნაციონალისტებიც. უნდათ ლუკმა პური გადუგდონ მონას და ამ ვითომდა კეთილდღეობაზე დაამყარონ თავიანთ ბატონობის უფლება.

მაგრამ ეროვნული თავისუფლება, ისტორიულ და კულტურულ თავისებურობის შერჩენის უფლება ჩვენ დროში ხომ ისეთივე აუცილებელია ყოველ ადამიანისათვის, როგორც პიროვნულ თავისუფლების უფლებაც. ადამიანის გადაგვარება, ეროვნების წართმევა ისეთივე ძალ-მომრეობა არის უთუოდ, როგორც რწმენის თავისუფლების მოსპობა, კერძო ცხოვრების შეუხებლობის უარისყოფა.

ბატონ-ყმობის დროს ბატონი ჰყიდდა თავის ყმებს ცალ-ცალკე, ცოლ-ქმარსაც აშორებდა ერთმანეთს, თითქო ოჯახობა, ცოლ-ქმრობა მხოლოდ მისთვის ყოფილიყოს საჭირო,—თანამედროვე რუსის ნაციონალისტებიც ეროვნულ თავისებურობის არსებობას ხდიან სახელმწიფოში გაბატონებულ ერთ ეროვნების პრივილეგიად!..

უადგილოა თანამედროვე სახელმწიფოში გაბატონებულ და დამორჩილებულ ერთა გაყოფა. დამორჩილებულ, დამონებულ ერთა გადაგვარების პრინციპზე აშენებული ავსტრიის პოლიტიკა შეიქმნა იმის მიზეზად, ეს ოდესღაც ძლიერი სახელმწიფო დაუძლურდა და დაეცა. თვით ისეთ სახელმწიფოში, როგორიც გერმანიაა, სხვა-და-სხვა ეროვნების,—ფრანგების, დანიელებისა და პოლონელების,—დაჩაგვრა ცხოვრების მშვიდობიან მსვლელობას უშლის და მომავალზე ლაპარაკს აძნელებს.

რუსეთში, სადაც ერთ მესამედზე მეტი მცხოვრები არა-რუსია, სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელი, არ შეიძლება უყურადღებოდ დაიტოვოს მათი მისწრაფება და სურვილი, და ეს გარემოება უნდა იქონიოს ყველამ მხედველობაში, როდესაც მსჯელობს სასურველ წეს-წყობილების შესახებ. („რუსი" № 64) („ივერია").

## სამაგალითო ქრისტიანე.

პრუსიის მეფის დიდი ფრიდრიხის ცხოვრებიდან ერთ ჟურნალში არის მოყვანილი სამაგალითო ჭკუის დამარიგებელი შემთხვევა. ამ ურწმუნო კოროლმა დიდხუთშაბათს ვნების კვირიაკეში განიზრახა ნადიმობის გამართვა და სხვა საპატიო პირებთა შორის მოიპატიჟა გენერალი ფონ-ციტენი. გენერალმა უარი შეუთვალა მეფეს, რადგან მე ამ დღეს ვალდებული ვარ დავესწრო უფლის სერობას ეკკლესიაშიო.

შემდეგ პასქისა ერთად სხვა საპატიო სტუმრებთან ეს გენერალიც იყო სადილზე მეფესთან და ყველანი დიდის სიამოვნებით შექცეოდნენ და ოხუნჯობდნენ. მეფემ კითხა ხსენებულ გენერალს: «აბა, მოგვიყევით, გენერალო, როგორ გაატარეთ ხუთშაბათს დრო უფლის სერობაზე ეკკლესიაში?» ერთბაშად გადიხარხარეს დამსწრე საპატიო პირებმა, მაგრამ მოხუცმა გენერალმა ფონ-ციტენმა თავი დაღუნა და დაფიქრდა. შემდეგ ადგა, თავი დაუკრა მეფეს და უთხრა მაღლად და მაგრად: «თქვენო დიდებულებავ! თქვენ იცით, რომ მე ომში ჩემ სიცოცხლეს არ ვზოგავ, თქვენთვის და მამულისთვის მზად ვარ სასიკვდილოდ ჩემი სიცოცხლის შეწირვა, რომ საჭირო იყოს შენთვის ამ წამშივე დავსდებ ჩემს ჭაღარით შემოსილს თავს შენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხებთან. გარნა არის ვინმე უმაღლესი ჩემსა და თქვენსა, უძლიერესი ყველაზე. ეს არის—მაცხოვარი, რომელმანაც სიცოცხლე შესწირა ჩვენთვის, რომელმანაც თავისი სისხლით გამოისყიდა ყველანი. მე, თქვენც არ მოგცემთ ნებას შეურაცხოთ და ქირდათ აიღოთ იგი, ამისათვის, რომ მასშია ჩემი სარწმუნოება, ჩემი ნუგეში, ჩემი სასოება სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც. ვწუხვარ, რომ თქვენ არ იცნობთ მას, რომელმანაც კაცობრიობისათვის თავი შესწირა და მთელი კაცობრიობა დაიხსნა. ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე გულ ახდილი სიტყვისთვის. მეფეს შესამჩნევად მოხვდა გულზე გენერლის ყვედრებითი სიტყვები. ჩამოვარდა კარგა ხანს დიდი სიჩუმე. ბოლოს მეფემ გაუშვირა ხელი გენერალს ჩამოსართმევად და უთხრა: «არასოდეს აღარ ჩავიდენ ამის მსგავს».

მაგრამ როგორ ხშირად ხდება ხოლმე დღეს ამის მსგავსი მოქმედება! ღვთის გმობა, დაცინვა მისი რაც ჩვენ არ გვესმის და რაც ჩვენი გულქვაობით არ შეგვიგნია, ჩვენი სუსტი ტვინით ვერ მიმხვდარვართ და არ გვისწავლია, რამდენჯერ განმეორდება დღესაც მეოცე საუკუნეში ისე როგორც მეთვრამეტე საუკუნეში. ხან რომანების მწერალი, ფილოსოფოსების და მასწავლებელთა მოსახურავებით გამოდიან და ქირდვენ უდიდეს ქრისტეს საიდუმლო დაწესებულებას და სამღვდელო პირთა ლოცვას მკითხავების შელოცვასადარებენ, ხან მოზარდი თაობა გონებით დაჩლუნგებულნი დარბაისლობათ მიაჩნიათ როცა უარს ყოფენ თავიანთ მშობლების სარწმუნოებას და ამით დიდ მეცნიერებად მოაქვსთ თავი. როგორ არ შეადაროს კაცმა ამისთანა მეეფარ - მქირდავნი სიწმიდისა ცხოველებს, რომელთა არა იციან რასა იქმნენ. ამისთანა მეეფარნი დღეს მრავალნი არიან, მაგრამ მათში ყველა უსასონი და დაღუპულნი არ არიან. ზოგიერთები მართალია არიან ურწმუნონი, მაგრამ არიან ისეთებიც რომელნიც უარს ყოფენ სახარებას, რადგან ერცხვინებათ სახარების და უფლის აღსარება გამოცხადებულად „ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა“, როგორც თქმულ არს. იგინი გამოცხადებულად არ ლოცვილობენ, რადგან ერცხვინებათ ამხანაგთა ქირდვისა და დაცინვისა, მაგრამ საიდუმლოდ კი აღიარებენ და ლოცვილობენ რამდენია ექიმები, ვექილები და სხვა ნაცნობი პირები, რომელნიც ურწმუნოებად მიაჩნიათ, მაგრამ საიდუმლოდ კი გაჭირვების დროს ლოცვილობენ და ნამდვილ ქრისტიანებიც არიან.

# ოქმია ზეცას.

ბევრგზის შევსჩივლე სვეს დამაწყევარს,  
უსამართლო ხვედრს მის-განჩინებას,  
მრჩობლსა ბრბოთ გრძნებას, გარეწარს-უნდო  
—თუ რისთვის მარგებს ამ მწარე ვნებას!

ბევრგზის ლოცვითა აღვაპყარ თვალნი,  
ზეცას მივმართე შვების სალამოდ,—  
ვაფრქვიე ცრემლნი—გულის შემწველნი  
ბოროტთ სათრუგვნად, წყლულის მალამოდ.

ვფიქრობდი, გრძნობით ვაკვირდებოდი  
სენით შეპყრობილს ამ ავ-ზნეობას,  
და, მეგონა, რომ ბრბო განიკურნის  
და მეც მაღირსებს ჩაგრულს მხნეობას.

მაგრამ, ამაოდ. ვერ განსპეტაკდა  
მათი აზრების სამყოფ-სადგური,  
სადაც დახშული აქვსთ მოყვასისადმი  
წმიდა საუნჯის თვისება-ძმური.

დადუნდა გული ამ ყოფით სვლაში—  
ურგო ცხოვრებით ტანჯულ-ვნებული;  
სად არს ნექტარი, იგი ნეტარი,  
ამას ვით ღირსა დანარცხებული!

მაშ ამ უფსკრულში მე რად დავეძებ  
გრძნეულთა შორის ნექტარის წყაროს?  
მათს ბუნებრივსა ავ-ზნეობაშიდ  
ჩემის ცხოვრების რამ შესაწყნაროს?

აწ აღარც ვებრძვი მათს ავ-კარგობას,  
გამოსალმების უძლევენ გრძნობანი,  
«ოქმია ზეცას» და იქ განსაჯონ  
ჩვენი თვისების ზნე-წეს-წყობანი.

მშვიდობას ვეტყვი საამქვეყნო გზას,  
მინდა, რომ იმათ განვშორდე მარად,  
რომ ჩემს სავანეს—სამყოფ—სადგურში  
„ოქმს“ ვიგულებდე ჩემდა მწე-მფარად.

თუმცა ვიშიშვი ვალმოუხდელი,  
ვერღარა შევხთე პაპას პირ-ნათლად!  
მაგრამ ვიმედობ გასამართლების  
შემდეგ მიმიყრდნობს მკერდზედა—მართლა

თ. როსტომ—გუძა ჩიქოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ტყვე რუსები იაპონიაში.** იაპონელი ჟურნალისტები ხშირად ნახულობენ პორტ-არტურელ ტყვეებს და ელაპარაკებიან. ტყვეების შესახებ იაპონური გაზეთი „ასასი“ სწერს: ჩვენ, იაპონელებს ყველაზე ძალიან ის გაგვიკვირდა, რომ ტყვე რუსები ყველას გულახდილად ელაპარაკებიან პორტ-არტურის შესახებ, არაფერსაც არ მალვენ. ამ ლაპარაკიდან ნათლად გამოირკვა, რომ პორტ-არტურში მეზღვაურთა და ხმელეთის ჯარის უფროსებს განუწყვეტელი შუღლი და ჩხუბი ჰქონიათ. რუსეთის ადმირალები ამტკიცებენ, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ფლოტი გაცილებით სუსტია იაპონიისაზე და ამიტომ ომს უნდა ვერიდოთ; მაგრამ ომის მომხრე დასმა ყურიც არ მოგვაქცია, ომი დაიწყო და ამიტომ ჩვენი დამარცხებაც ამ დასის ბრალია. ხმელეთის ჯარის აფიცრები თავიანთ ამხანაგებს, მეზღვაურებს, ცუდად იხსენიებენ და ამტკიცებენ, ჩვენმა მეზღვაურებმა ვერც სიმამაცე გამოიჩინეს და ვერც ცოდნა. ჩვენ,—ამბობენ ხმელეთის აფიცრები,—მეზღვაურების მაგივრად რომ ვყოფილიყავით, ინიციატივას ხელში ჩავიგდებდით, დავიხოცებოდით და ფლოტს კი ტყუილ-უბრალოდ არ დავაღუპებინებდით. ეს აფიცრები მეზღვაურებს დასცინიან, მასხარად იგდებენ და ამბობენ, ჩვენმა მეზღვაურებმა ტყუილად მისცეს იაპონელებს პატიოსანი სიტყვა, ბრძოლაში მონაწილეობას აღარ მივიღებთო, რადგან, სულ ერთია, აქამდის უამისოდაც არ იბრძოლებენო. გარდა ამისა, ტყვეების ნალაპარაკევიდან გამოირკვა, რომ ადმირალები და გენერლები ციხის ჩაბარებისა და დანებების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ამბობენ, იაპონელებს ერთ თვეს კიდევ გაუმაგრდებოდით, დიდ ზიანს მივაყენებდით და გენერალ ნოგის ჯარს მარშალ ოიამას არ მივაშველებინებდითო. ციხის ჩაბარება მარტო გენ. სტესელმა და იმის შტაბის უფროსმა გადასწყვიტეს და ეს ამბავი მეციხოვნე ჯარს მხოლოდ მაშინ შეატყობინეს, როცა საქმე გათავებული იყო. გენ. ფოკი გულჩახვეულია და ხმას არ იღებს; სამაგიეროდ, გენერალი სმირნოვი სტესელს ისეთი სიტყვებით იხსენიებს, თითქო იმის მოსისხლე მტერიაო. ჩვენ, იაპონელები,—სწერს გაზეთი,—რუსებს პატივისცემით ვიხსენიებდით, სანამ ისინი ციხეს იცავდნენ, „მაგრამ ეხლა, როცა ყველაფერი გავიგეთ, რუსებს პატივს აღარა ვცემთ და დავრწმუნდით, რომ რუსები უნდა დამარცხებულიყვნენ და მომავალშიაც დამარცხდებიან». (ნ.ვ.)

**რუსეთის ფინანსები.** „რუსკია ვედომოსტი“-ს 73 ნომერში მოთავსებულია სპეციალისტ-ფინანსისტის აზრი რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობაზედ: «რუსეთის ფინანსთა მინისტრის სიტყვით, რუსეთის სახელმწიფო ვალი უდრის 750 მილიონ გირვანქა სტერლინგს (შვიდ მილიარდ ნახევარი მანეთი). რუსეთს არ შეუძლია გადაიხადოს ეს ვალი. მაგრამ არც არავის მოსვლია აზრად გაზომოს რუსეთის შეძლება ამ საზომით. აქ მხოლოდ ერთია საკითხავი, შეუძლია თუ არა რუსეთს ვალის სარგებელი გადაიხადოს. ინგლისელებსაც შეიძლება უთხრან—თქვენი სახელმწიფო ვალი დიდია და არც იხდით ამ ვალსო. მაგრამ არსებითი განსხვავება აქ ის არის, რომ ბრიტანიის სახელმწიფო ვალის თამასუქები ისევ ინგლისელების ხელშია, რუსეთს-კი უცხოელების ვალი მართებს. ინგლისის მთავრობას ნასესხები აქვს ფული თავისსავე ხალხისაგან (მაშასადამე სარგებელიც ხალხის ჯიბეში მიდის), რუსის მთავრობას-კი უცხოელებისაგან. უცხოელებისავე ხელშია სხვა-და-სხვა აქციები, რომელნიც მეტ-წილად მთავრობისაგან არიან უზრუნველყოფილი და მაშასადამე იგივე სახელმწიფო ვალია. მთელი სახელმწიფო ვალი რუსეთისა შვიდ მილიარდ ნახევარზე მეტია: მარტო სარგებელს რუსეთი იხდის 320 მილიონზე მეტს... ამბობენ, რუსეთი ყოველთვის იხდიდა კუპონების ღირებულებასაო. მართალია, მაგრამ საიდან იხდიდა? სახელმწიფო შემოსავლიდან? რუსეთი ყოველთვის იხდიდა სარგებელს, მაგრამ ამ სარგებლის გადახდისთვისაც ახალ ვალებს იღებდა. ეხლა საყურადღებო ის კი არ არის, თუ რას შვრებოდა რუსეთი, სანამ ფულს შოულობდა, არამედ ის, თუ რას იზამს რუსეთი, როცა უცხოელები აღარ მისცემენ ფულს. სამწუხაროდ, ძალიან საშიშია, რომ რუსეთი უახლესხებოდ ვერ გადაიხდის სარგებელს. ერთად-ერთი სარგებლიანი საქმე, რომელზედაც დაიხარჯა ფული, რკინის გზებია: მაგრამ ამ გზებსაც არ მოაქვს შემოსავალი. რუსეთი ის მექარხნეა, რომელიც ხარჯავს ძირითად თანხას. რუსეთს სიმდიდრის დიდი წყაროები აქვს, თითქმის დაუშრეტელი, მაგრამ მოხმარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ახალი წეს-წყობილება იქნება შემოღებული. ბიუროკრატიამ მოჰკლა ხალხის კერძო ინიციატივა და ისე არივ-დარია სახელმწიფოს ფინანსები, რომ ახალმა წეს-წყობილებამ, საზოგადოებრივ კანტროლზე დამყარებულმა, ბევრი დრო უნდა მოანდომოს მათ გამობრუნებას. თუ დარჩა ძველი წეს-წყობილება, ახლო მომავალში მოსალოდნელია კოლოსალური ფინანსიური გაკოტრება, რომლის მიზეზით საშინლად დაზარალდებიან უცხოელი კრედიტორები".

**რუსეთის მარშლები.** მოსკოვში შეიკრიბნენ რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურობის მარშლები და თათბირი ჰქონდათ 18 თებერვლის უმაღლესს რესკრიპტის გამო. ამ თათბირის შედეგი მოყვანილია „რუსკოე სლოვო"-ში: მარშლები ყველა დათანხმებულა, რომ არსებული წეს-წყობილება აღარ ვარგა, მაგრამ არც იმის მომხრე ყოფილან, რასაც რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი თხოულობს: „საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის არის კარგა დიდი, ძლიერი დ მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი—მომხრე დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო თეორიებისა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ჯგუფი ეცდება თავისი აზრი გაიყვანოს საზოგადოებრივ კრებებზე და ყოველ ღონეს იღონებს, რომ მომავალ სახელმწიფო რეფორმებს მისცეს ნამდვილი საკონსტიტუციო მიმართულება.

ჩვენის (მარშლების) აზრით, ასეთ მიმართულებას უნდა შევებრძოლოთ; უნდა შევაგნებინოთ საზოგადოებას აუცილებლობა ერთობისა 18 თებერვლის რესკრიპტის ნიადაგზე, იმ რესკრიპტის, რომელიც თხოულობს ჩვენის სამშობლოს განახლებას თვითმპყრობელობის ნიადაგზე ხალხის წარმომადგენლობით...

ხალხის წარმომადგენლობა მეფის თვითმპყრობელობას კი არ უნდა ზღუდავდეს, არა, მან უნდა მოსპოს მოხელეთა თვითნებობა და შეატყობინოს მეფეს ხალხის მომწიფებული საჭიროებანი.

ეს წარმომადგენლობა უნდა შესდგებოდეს არჩეულ პირებისაგან.

გარდა სამინისტროებში შედგენილ კანონ-პროექტების განხილვისა, წარმომადგენლობას უფლება უნდა ჰქონდეს აღძრას საკითხები შესახებ ახალ კანონების გამოცემისა და ან ძველის შეცვლისა

რომ აღმასრულებელმა ორგანოებმა არ დაამახინჯონ კანონები, რომ უზრუნველყოფილი იყოს სინდისის, სიტყვისა და პიროვნების თავისუფლება, წარმომადგენლობას უფლება ჰქონდეს შეეკითხოს მინიტრებს, რომელნიც პასუხს აგებენ მეფის წინაშე. მასვე უნდა ჰქონდეს უფლება სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვისა და კანტროლისა, თუ როგორ სრულდება ეს ხარჯთ-აღრიცხვა».

**რუსეთ-იაპონიის ომი და ფრანგ-რუსთა კავშირი.** საფრანგეთის საზღვაო მინისტრად ნამყოფი (კომბის სამინისტროში) ცნობილი სოციალისტი პელტანი გაზეთ «მატენ»-ში ამტკიცებს, რუსეთი უძლეველი კი არა, ძალიან სუსტიაო. რუსეთში ას მილიონზე მეტი გლეხია. მაგრამ მებრძოლი, ნამდვილი სალდათი ძალიან ცოტაა. რუსი გამბედავიც არის, ყურმოჭრილი მონაც, მაგრამ სალდათის გაწვრთნა და სამხედრო საქმის ცოდნა სულ სხვა და-სხვაა. არა, —სწერს პელტანი,—რუსეთის მებრძოლთა თანხა უშრეტი არ არის. აბა, მოიგონეთ წარსული: სევასტოპოლის ომის დროს ბუმბერაზმა რუსეთმა ვერ მოახერხა და ნაპირზე გადასული ერთი მუჭა ევროპიელი ჯარი ზღვაში ვერ გადაყარა. პლევნასთან ბრძოლის დროს უშველებელ რუსეთს ავადმყოფმა და სნეულმა ოსმალეთმა აჯობა; მერე კი რუსეთმა ოსმალეთი მხოლოდ პაწაწკინა რუმინიის შემწეობით დაამარცხა. ეხლა იაპონიის ომი აიღეთ... რუსეთის მთელი ისტორია მუდმივი დამარცხებაა; მაგრამ დამარცხება ჯარის მიზეზი კი არ არის, არამედ ის ქურდბაცაცობა და უვიცობაა, რომელიც ყოველთვის ჯარს ხრწნიდა დ ღუპავდა. თუ რუსეთმა მანჯურიაში საუკეთესო ჯარი გაგზავნა, დასავლეთი საზღვრები დაუცველი დარჩება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. რუსეთის მთავრობამ დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს შინაურ მოძრაობას, რომელიც თან-და-თან გამწვავდება და გადიდდება, რადგან მთავრობა ხალხს არაფრის დათმობას არ უპირობს. ამას ის მოჰყვება, რომ ევროპა რუსეთს, როგორც სამხედრო სახელმწიფოს, ყურადღებას აღარ მიაქცევს. ვთქვათ, ომის ბედმა რუსეთსაც გაუღიმა,—თუმცა კი ეს შეუძლებელია, რადგან რუსეთის მთავრობა თავის ჯარის დამარცხების მიზეზის მოსპობას არ აპირობს, მაგრამ, ვთქვათ, რუსეთმა გაიმარჯვა. ვაი ამ გამარჯვებას! რუსეთი დასუსტდება, დაეცემა და იძულებული იქმნება ევროპის საქმეებში აღარ ჩაერიოს. მერე რაღა დარჩება ამას შემდეგ ფრანგ-რუსთა კავშირისაგან? მარტო სახელი. ნუ დაივიწყებთ, რომ ავსტ-

რო-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები დღესხვალ გარდაიცვლება და მონასტერიც აირევა. გერმანიის იმპერატორი საქვეყნოდ ქადაგობს, რომ ავსტრო-უნგრეთის გერმანელები და სლავიანები უნდა შემოვიერთოთო. ეს ამბავი რომ მოხდეს, რას იზამს რუსეთი? მეცა და მთელმა ქვეყანამაც ვიცით, რომ გერმანიის იმპერატორი ცხარეთ იცავს რუსეთის ინტერესებს შორეულ-აღმოსავლეთში. იგი მზად არის რუსეთს ჩინეთი, მანჯურია და თვით იაპონიაც აჩუქოს. გერმანიის იმპერატორი რუსეთს ურჩევს—და შველის კიდევაც—შორეულ-აღმოსავლეთის მახეში გაებით, რადგან აქ, ევროპაში, მე ხელფეხი გამეხსნება და თავისუფლად ვითარეშებო.

ეხლანდელ იმპერატორის პაპამ საფრანგეთს ხელი შეუწყო, მექსიკის ომში გაება და თვითონ-კი აქ თავის საქმეები გაარიგა; ბისმარკმა საფრანგეთი ტონკინს მიუსია და თვითონ კი ევროპაში ხელი მოითბო. გერმანიის ეხლანდელი იმპერატორიც ასევე იქცევა: რუსეთს გულმტკივნეულად დ̃ თანაგრძნობით შორეულ-აღმოსავლეთისკენ ხელსა ჰკრავს, აქეზებს, შველის კიდევაც. მიზეზი ცხადია. დასასრულ პელ.ნი ამბობს: რადგან საფრანგეთი რუსეთის საქმეებში დაინტერესებულია, ამიტომ საფრანგეთმა უნდა ითავოს და რუსეთს ომი შეაწყვეტინოსო. (ნ.)

**ზავი.** ზავის შესახებ ისევ დაჟინებით ლაპარაკობენ. ვაშინგტონიდან იუწყებიან, პრეზიდენტი რუზველტი იაპონიის და რუსეთის ელჩებს მოელაპარაკა, მაგრამ ვერას გახდაო. ხელს მხოლოდ კონტრიბუცია უშლის. ამბობენ, იაპონია, სულ ცოტა, ერთ მილიარდ მანეთს თხოულობსო. რუსეთი არ თანხმდება და ომის გაგრძელებას აპირობს. იაპონიაც უარზეა, არ დაუკლებო და, თუ გაჟინიანდა, მოუმატებ კიდეცაო. ზოგი ამბობს, რუსეთი ციმბირისაკენ დაიწევს და კონტრიბუციას კი არ მისცემსო. იაპონელები ამბობენ, რუსეთს ციმბირში არ გავყვებით, მთელ მანჯურიას დავიჭერთ, რუსეთს კამჩატკას, პრიამურის ოლქს, ვლადივოსტოკსა დ̃ სახალინს წავართმევთ, გავმაგრდებით და ჩვენთვის ვიქნებით, ნუ მოგვცემენ კონტრიბუციას კატას ფილტვი ესროლეს და მეც ეს მინდოდაო. იმოდენა ადგილებს წავართმევთ და არც მაშინ მოგვცემს! (ნ.)

„ლოკალ ანცაიგერ“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ, ვითომ საფრანგეთმა ევროპის სახელმწიფოებს სთხოვა, რუსეთსა და იაპონიას უშვამდგომლეთ, შეარიგეთ და შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა ჩამოაგდეთო. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა დანსდოუნმა მინისტრები შეკრიბა, ეთათბირა და საფრანგეთის ელჩს გამოუცხადა: მორიგების შესახებ ლაპარაკს ინგლისი ვერ ჩამოაგდებს. თუ ინიციატორობა იკისრა ვინმემ, ინგლისი დაეხმარება და ყოველ ღონეს იხმარს, რომ მშვიდობიანობის დამყარებას ხელი შეუწყოსო. (რ. ს.)

**ახალი მობილიზაცია.** „მორინგ პოსტ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხედრო წრეებიდან დანამდვილებით გავიგე, რომ ამ ცოტა ხანში რუსეთში დიდი მობილიზაცია უნდა მოხდეს. გადაწყვეტილია, რომ ომში გაწვეულ **ჯარის** იარაღს აქ, რუსეთშივე კი არ დაურიგებენ, არამედ ბრძოლის ველზე. ეს განკარგულება იმიტომ მოახდინეს, რომ ეშინიანთ, შეიარაღებულმა ჯარმა აქ, რუსეთში, უწესოება არ მოახდინოსო. (ჩ. პ.)

**არა ჩვეულებრივი კომისია.** ამ ჟამად პეტერბურგში განსაკუთრებული კომისია მუშაობს. კომისიამ უნდა გამოარკვიოს, როგორ მოვაწყოთ კვანტუნის ნახევარ კუნძულის (პორტ-არტური დალნი და სხ.) მართვა-გამგეობაო. ეს კომისია თურმე დიდ ფაცი-ფუცშია: მასალებს აგროვებს, სხვა-და-სხვა სამინისტროებს ეკითხება, თავის დადგენილებასა და დასკვნას დეპარტამენტებში გზავნის და იმედი აქვს, მუშაობას მალე გაათავებს. ამ დღეებში ეს კომისია სამიწადმოქმედო სამინისტროს შეეკითხა, როგორ ფიქრობთ, რა ნაირად უნდა მოეწყოს ტყის საქმე კვანტონშიო. ამ ამბის გამო „ნოვ. ვრ.“-ა ამბობს, ეს კომისია, უეჭველია, მთვარიდან იქნება ჩამოვარდნილიო. «სლოვო» უმატებს: ღვინო არსად იყო —ეშმაკები —ტიკჭორებს ბერავდნენო. (ნ. ვ.)

**რა დაუჯდა რუსეთს ეხლანდელი ომი.** „რაზსვეტ“-ში ჩამოთვლილია რუსეთის ჯარის ზარალი 14 თვის განმავლობაში. ზარალი ოფიციალურ ცნობებით არის შედგენილი. იაპონელებმა რუსებს დაუჭრეს, მოუკლეს და დაატყვევეს: შახესთან—45 ათასი, პორტ-არტურთან და ცინჯოუსში—45 ათასი, ლიაოიანთან – 25 ათასი, ხეიგოუტაისთან—13 ათასი, ვაფანგოუსთან—4 ათასი, მთაგრეხილებზე—2600, ტიურეჩენთან—2400, სიმუჩენთან—1900, დაშიჩაო, სიხეიანსა და გაუჯოუსთან—1300, საზღვაო და წვრილ წვრილ ბრძოლებში -9800, სან-

დეპუსთან—10 ათასი. ამას უნდა მიუმატოთ მუკდენის ბრძოლის ზარალი, რომელიც, სულ ცოტა—175 ათასი უნდა იყოს, და რუსეთში გამოგზავნილი ავად-მყოფნი—95 ათასი კაცი, 14 თვის განმავლობაში რუსეთს დაჰკლებიათ 335 ათასი მოკლული, დაჭრილი, დატყვევებული და 100 ათასამდე ავადმყოფი. საერთო ზარალი 430 ათას კაცს შეადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე და ამ დღეებში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობების თანახმად, 14 თვის განმავლობაში რუსეთის ჯარის ზარალს შეადგენს 532 ათასი კაცი. ეს ხალხით. ეხლა ფულით:

მანჯურიის რკინის გზა—253 მილიონი მანათი, ამ გზის დაცვა და დამატებითი ხარჯი—46 მილიონი, მოკრივეთა დამშვიდება, რომლის დროსაც უგზოუკვლოდ გაქრა 70 მილიონი, ქალაქ დალნისა და ნავთ-სადგურის გაშენება—20 მილიონი, რკინის გზის საჭიროებისათვის სავაჭრო გემების აშენება—11 მილიონი, პორტ-არტურზე დაიხარჯა—500 მილიონი, სულ—900 მილიონი მანათი. ომზე დაიხარჯა: გარეშე სესხი—570 მილიონი მანეთი, ხაზინის თავდებობით ნასესხი—150 მილიონი, იაპონელების მიერ წართმეული ზარბაზნები (რიცხ. 1480)—10 მილიონი, იაპონელების მიერ წართმეული სავაჭრო გემები საქონლითურთ—10 მილიონი. პორტ-არტურში ჩაძირული ფლოტი—160 მილიონი, სულ 900 მილიონი. ამ რიგად, ნახევარ მილიონ ხალხის გარდა, რუსეთმა დაჰკარგა 1800 მილიონი მანათი. ამას რომ უკანანასკნელი შინაური სესხიც (200 მილ. მან.) მიუმატოთ, გამოვა, რომ დღემდის რუსეთს ეხლანდელი ომი ნახევარი მილიონი კაცი და 2000 მილიონი მანათი დაუჯდა. საინტერესოა, რამდენ მანათად ღირს მთელი მანჯურია და კორეა? (ნ.)

*
* *

12 მარტს 100 პლასტუნი და 100 ყაზახი რუსი ბარგი-ბარხანით გაემგზავრა ჩოხატაურში. თან გაჰყვა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ამალით. ერთი კვირაა ყველგან გურიაში დაიკეტა სამრევლო სკოლები. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლა არ დაწყებულა. ახლად დაბანაკებული ჯარი ოთხი ათასზე მეტია უწესოება არა მომხდარა-რა. დღეს დარიგდა და გაიკრა განცხადებები ქართულსა და რუსულს ენებზე. აქვე მოგვყავს შინაარსი განცხადებისა:

„ქ. ოზურგეთში მოსული და დაბარგებული ჯარის უფროსი აძლევს წინადადებას ქ. ოზურგეთის და მის მაზრის მცხოვრებთ, რათა ყოველივე კანონიერი წეს-რიგი იყოს დაცული. თავიანთ საქმეების შესახებ მიმართონ მთავრობის სასამართლოებს და შეასრულონ ყოველივე მათი კანონიერი მოთხოვნილება. ვინც ამას არ შეასრულებს, სასტიკად იქმნება დასჯილი.

ყოველ-გვარ იარაღის: თოფის, რევოლვერის, ხმლის, ხანჯლისა და სხ. ტარება სასტიკად აკრძალულია. დამნაშავეს ამ მოთხოვნილების დარღვევაში ჩამოერთმევა იარაღი და იქმნება დაპატიმრებული.

ყოველ-გვარი დუქნები და სავაჭროები, რომლებიც დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში არ გამოიტანენ საჭიროდ ვაჭრობის ნება-რთვას, დახურული იქმნება.

დუქნებმა და სავაჭროებმა უნდა შესწყვიტონ ვაჭრობა საღამოს რვა საათზე და დაიწყონ დილის რვა საათზე. დამნაშავენი ამის დარღვევაში დაჯარიმებულ იქმნებიან.

სამხედრო წესების შემოღების გამო, აკრძალულია ქალაქში სიარული კერძო პირებისა საღამოს 8 საათის შემდეგ; ამ წესის დასაცველად იქმნებიან დანიშნული ჯარის კაცებიდან შემდგარი ღამის პატრულები (ობხოდი) ნება არა აქვთ კერძო პირთ გადავიდნენ ჯარის ბანაკის რაიონში და რაიმე კავშირი იქონიოს ჯარის კაცებთან.

ვუცხადებ ქალაქის ვაჭრებს, რომ თუ ვინიცობაა «სტაჩკა» გამართეს ან უმიზეზოდ ფასები აუწიეს აქაურ ვაჭრობის საგნებს, ჯარებს ავუკრძალავ რამე იყიდონ ან შეიძინონ მათგან, და ყველაფერი, რაც ჯარისათვის საჭიროა იქნება ხაზინის ხარჯით მოტანილი სხვა ადგილიდან.

უკანასკნელ ვაძლევ წინადადებას მოქალაქეთ და მცხოვრებთ დაიცვან წესიერება, შეასრულონ ყოველივე მოთხოვნილება მთავრობისა და მით ხელი შეუწყონ საჩქაროდ სამხედრო წეს-რიგის მოხსნას“.

*
* *

ყაზანელ თათრებს წარუდგენიათ მინისტ[illegible] კომიტეტში თავიანთი მოთხოვნანი. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი; 1) სასულიერო მთავრობა ყაზანელ მაჰმადიანებისა უნდა აირჩეს თვით მაჰმადიან ხალხ[illegible]

მიერ; 2) მაჰმადიანების საქორწილო, საოჯახო მემკვიდრეობითი საქმეები მხოლოდ ამ არჩეულ სასულიერო მთავრობის ხელში უნდა იქნეს; 3) მაჰმადიანებს უნდა მიეცეთ უფლება თავისუფლად უპასუხონ მაჰმადის რჯულის კრიტიკოსებს; 4) ძალით გაქრისტიანებულთ ნება მიეცესთ დაუბრუნდნენ მაჰმადიანობას; 5) მაჰმადიან საზოგადოებას უნდა მიეცეს ყველა უფლებანი, რომელიც მართლმადიდებელ სამღვდელოებას აქვს; 6) რუსულის არ ცოდნა ხელს არ უნდა უშლიდეს სასულიერო თანამდებობის მიღებას; 7) მაჰმადიანებს უფლება უნდა ჰქონდეთ თავიანთ ენაზე გაზეთების გამოცემისა იმავ წესით, რა წესითაც რუსებს ექნებათ; 8) კერძო პირებსა და საზოგადოებათ უფლება უნდა ჰქონდეთ სკოლების გახსნისა; ამ სკოლებში სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. (რუს).

*
* *

გაზ. «სლოვო» ამბობს, თუ ვინ იქნება მომავალ საერო კრებაში, რომელ და რომელ ეროვნების წარმომადგენელი.

„რუსეთში 147 მილიონი მცხოვრები არისო, ამათში რუსია 87 მილიონი, ამიტომ თითო 100,000 კაცზე თუ იქნა ერთი წარმომადგენელი რუსებს ეყოლებათ კრების 725 წევრში 435 წარმომადგენელი, თურქ-თათარი 75 კაცი, პოლონელი 50, ურია 30 და სხ.

უნდა ვეცადოთ უთუოდ, განაგრძობს გაზეთი, რომ ყველა ეროვნებას ჰყავდეს უთუოდ რაოდენობის დაგვარ წარმომადგენლები, რომ არ ჩავარდეთ ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიაც არიან ავსტრიელი სლავიანები ან კიდევ უარესები.

«ნოვოე ვრემია» პირდაპირ აცხადებს, წარმომადგენლები მხოლოდ რუსებს უნდა ჰყავდესო და საამისოდ მისმა თანამშრომელმა ნ. ენგელგარდტმა დაიწყო ნაციონალ დროშის შედგენა.

რუსული გაზეთები ასე ახასიათებენ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას.

„ეხლანდელი რუსეთი გაკოტრებულ ვაჭარს ჰგავს, როდესაც სავაჭრო საქმეს უნიჭო პირები განაგებენ და გაკოტრების გზაზედაც აყენებენ, არა აქვთ ხოლმე საკმარისი გაბედულობა,—თვითონვე ღიარონ თავიანთი შეცდომა. ცდილობენ როგორმე გააჩანჩალონ საქე იმედი აქვთ, რამე საბედნიერო შემთხვევა დაგვიხსნის გაკოტრებისაგანო, ეშინიათ გამოაცხადონ საჯაროდ თავიანთი სიკოტრე:

შეხედეთ ეხლა, როგორ კოტრდება რუსეთი ბიუროკრატია, როგორ ისარგებლა იმ ზნეობრივ ნდობით, რომელსაც უცხადებდა ყოველთვის ხალხი?

ყველა უწყება სრული გაკოტრებული გამოდგა. დიპლომატზე ხომ ლაპარაკიც არ არის საჭირო, იგი არასოდეს არ ყოფილა რიგიანი მოწყობილი... მაგრამ აიღეთ სხვა უწყებაც... სამხედრო უწყება მოუმზადებელი გამოდგა... საზღვაო სამინისტრომ დაღუპა ესკადრა... თორმეტი თვის განმავლობაში აგერ ბატონობს იაპონიის ფლოტი ზღვაზე... გაფიცულია სწავლა-განათლების უწყება... საფინანსო უწყებამ 2 მილიარდზე აიყვანა ბიუჯეტი, გამოსწოვა ხალხს უკანასკნელი წვენი და მხოლოდ აქეთ-იქით საჩუქრების გაცემაც ისწავლა. სოფლის ხალხი უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავარდნილია. სამეურნეო უწყება ნაირ-სალიბერალო პროექტებს ადგენს, მაგრამ საქმით კი მხოლოდ მოსამსახურე პირებს უმატებს გზის ხარჯად, ჰფანტავს აუარებელ ფულს და საქმეს კი არ აკეთებს... სასამართლოში შენ-ჩემობაა გაბატონებული... საქმის დაჩქარება შეუძლებელი ხდება. სენატი ვერ ახერხებს თვითნებობის ალაგმვას, ვინაიდან თვითონ იუსტიციის სამინისტროს კანცელარიად გადაქცეულა... ადმინისტრაცია და პოლიცია ებრძვის ხალხს, ხან ავიწროვებს მას, ხან სულაც არ ჩნდება, საქმით ადამიანის სხვის ძალმომრეობისა ან დაცვასაც კი ვერ ახერხებს, ასეა ყველგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები და შენიშვნები.

⁂ როგორც «სლოვო» აცხადებს, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის გამგედ ინიშნება სამეფო კარის სამინისტროს საბჭოს წევრი ვ. ს. კრივენკო.

⁂ რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ 155,000 მანეთი გადასდო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად. ეს ფული მოსამსახურეებს აღდგომისათვის დაურიგდებათ,

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ მიწერილობა დაუგზავნა გუბერნატორებს მოწერილობაში ნათქვამია, რომ ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა ეკლესიებისა და მონასტრების ძარცვაგლეჯა. უმაღლეს სასულიერო მთავრობის თხოვნისამებრ, მთავარ-მართებელი წინადადებას აძლევს გუბერნატორებს, ყოველივე საშუალება იხმარონ, რომ ეკლესიები და მათ სიწმინდენი დაცულ იქმნენ. ამასთან მთავარ-მართებელი უმარტავს გუბერნატორებს, რომ ეკლესიების მფარველობა, არსებულ კანონის ძალით, ევალებათ ადგილობრივ მრევლთ. ფული ეკლესიის დარაჯებისათვის სოფელმა უნდა გადაიხადოსო.

⁂ ბეჭდვითი საქმის შესახებმა განსაკთრებულმა რჩევამ დრო-გამოშვებით გამოცემათა ცენზორთან წარსადგენად აწ არსებული წესები დასტოვა, ე. ი. გაზეთი უნდა წარედგინოს ხოლმე იმ დროს, როცა მისს ბეჭვდას შეუდგებიან, ჟურნალები კი—ოთხი დღით ადრე, ვიდრე გასასყიდად ან დასარიგებლად სტამბიდან გამოიტანდნენ. ამასთანავე, მეთვალყურე ორგანოს ნება აქვს დაიჭიროს დროგამოშვებითი გამოცემანი და, თუ მათში რაიმე საწინააღმდეგო ნახა, დამნაშავენი სამართალში მისცეს. ერთი ხმის უმეტესობით, რჩევა განსაკუთრებულის საექიმო ცენზურის წინააღმდეგია.

⁂ საზოგადოებათა პალატაში განიხილეს სამხედრო ბიუჯეტი. კლოდ ლოუტერმა განაცხადა, ინდოეთის მხედრობის შემცირება შეუძლებელიაო. რუსეთი ინდოეთის საზღვრებზე ისეთ ღონისძიებასა ხმარობს, რომ აუცილებლად უნდა გავაფართოვოთ ინგლის-იაპონიის კავშირი. თუ ვინიცობაა ამ სახელმწიფოთა აზიის სამფლობელოებს თავს დაესხნენ, ორსავე სახელმწიფომ ერთად უნდა იმოქმედოს და ერთმანეთი დაიცვას—ინგლისმა ფლოტით, იაპონიამ კი მხედრობით.

⁂ ოფიციალური. გასული წლის 12 დეკემბრის უმაღლესის ბრძანების მეექვსე მუხლის სისრულეში მოსაყვანად მინისტრთა კომიტეტის 8 მარტის სხდომის საგანგებო ჟურნალში სწერია: შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა მინისტრთა კომიტეტს, რომ ხსენებულმა სამინისტრომ შემდეგი ღონისძიებანი მიიღო: 1) 26 თებერვალს გამოვიდა უმაღლესი ნება, რომ დაბრუნებულ იქნას ციმბირში გადასახლებული 72 მწვალებელი, რომელნიც იმიტომ გადაასახლეს, რომ უარი განაცხადეს სამხედრო ბეგარის მოხდაზე და თავიანთ ნებით გააუქმეს 1896 წლის 5 აგვისტოს უმაღლესი ბრძანება; 2) ადგილობრივ სათანადო მთავრობის მოხელეებს ეუწყათ, რომ სახელმწიფოს დაცვის დებულების მე 34 მუხლის თანახმად სარწმუნოებრივ დანაშაულობათა-გამო დასჯილი 34 კაცი და 1880 წლამდე გამოცემულ განკარგულებათა ძალით დასჯილი 253 კაცი, მინისტრთა კომიტეტის 1884 წლის დადგენილებით დასჯილი ცხრა კაცი, სახელმწიფოს დაცვის დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ან კავკასიის მთავარმართებლისა და თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო უფლება-უპირატესობის ძალით დასჯილი 36 კაცი—განთავისუფლებულ იქნეს; 3) ეუწყათ ადგილობრივ სათანადო მთავრობის მოხელეებს, რომ პოლონეთიდან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლებული 142 ბერძენ-უნიატი განთავისუფლებულ იქმნა; აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნენ პოლიციის ზედამხედველობისაგან ამავე ტეგორიის დამნაშავენი, რომელნიც დაასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ პრივისლიანის მხრის სხვა-და სხვა ადგილებში, სულ 16 კაცი; 4) ამა წლის 19 თებერვლის ცირკულიარით ეცნობა გუბერნიების უფროსებს: ამიერიდან არცერთმა საადმინისტრაციო დაწესებულებამ და თანამდებობის კაცმა თავის ნებით არ შეავიწროვოს ვინმე სარწმუნოების გამო კანონის გარეშე და რომ სარწმუნოებრივ საქმეებზე არ ვრცელდებოდეს სახელმწიფოს გაძლიერებულ დაცვისა და პოლიციის ზედამხედველობის წესები; დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ყველა საქმე, რაც კი აღძრულა ამ წესების მიხედვით და ახლაც წარმოებაშია; განთავისუფლებულ უნდა იქმნას ადმინისტრაციის განკარგულებით პოლიციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანი და ყველას უნდა მიენიჭოს უფლება იცხოვროს იქ, სადაც თვითონ მოისურვებს, და საზოგადოდ უნდა მოისპოს ყველა სასჯელი და შევიწროება, შინაგან საქმეთა სამინისტროსა ან ადგილობრივ მთავრობის დაწესებულებათა უფროსების განკარგულებით შემოღებული. დაუყოვნებლივ უნდა გაანთავისუფლონ ყოველისავე შევიწროვებისაგან ისინი, ვინც ყოფილა გადასახლებული სარწმუნოებრივ მიზეზთა გამო ადგილობრივ ადმინისტრაციის განკარგულებით; უნდა გამოირკვეს, ვინ იმყოფება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ხელმწიფის განკარგულებით ან ვისა აქვს უფლება-უპირატესობანი შეზღუდული ხელმწიფისავე განკარგულებით, დაუყოვნებლივ უნდა წარდგენილ იქმნას მათი სია შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა მათ შესახებ ეხლავე სისრულეში იქმნეს მოყვანილი ამა წლის 11 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ მესამე მუხლი მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა. ამის შემდეგ კომიტეტს მოხსენდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ 2 მარტს გამოითხოვა უმაღლესი ნებართვა, რომ 278 დუხობორი განთავისუფლებულ იქმნას იმ სასჯელისაგან, რომელიც ჯერ კიდევ მოუხდელი აქვთ და რომელიც გადაწყვეტილი ჰქონდათ უმაღლესის განკარგულებით 1897 წ. 30 აპრილს; ხსენებული სამინისტრო შუამდგომლობს აგრეთვე, რომ სრულებით ეპატიოს სასჯელი 4 მწვალებელს, რომელნიც უნდა დასჯილიყვნენ სარწმუნოებრივ დანაშაულობათა-გამო ადმინისტრაციის განკარგულებით. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრომ ეხლავე მიიღო საჭირო ღონისძიებანი, რათა ცნობაში მოყვანილ იქმნას, ❘ ) სარწმუნოებრივ დანაშაულობის რომელი საქმე ❘ ფილა დღემდე წარმოებაში, ყველა ამ საქმეებზე ❘ნდა მოისპოს გადაწყვეტილი სასჯელი.

⁂ 19 მარტი. ოფიციალური. როგორც გავიგეთ, 18 მარტს, მინისტრთა კომიტეტის განსაკუთრებულ სხდომაზე განუხილავთ საკითხი: სასწავლებლების აწინდელ მდგომარეობის შესახებ. დიდი ლაპარაკი გამოიწვია შეკითხვამ: გაგრძელდეს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, თუ არაო? სწავლის გასარძობის მომხრე სხდომაზე ოთხი აღმოჩენილა. მოწინააღმდეგეთ უთქვამთ, ფაქტიურად ეხლა ყველა სასწავლებელი დაკეტილია, სწავლა შეწყვეტილია, ამიტომ რა უფრო კარგი იქნება: გავხსნათ სასწავლებლები და მით უფრო გავამწვავოთ საქმეები, როგორც წარსულ წლებში, თუ ისევ დაკეტილები დავტოვოთ. კერძო კრებამ უკანასკნელი აზრი მიიღო. გადაწყვეტილია, მომავალ შემოდგომაზე გაიხსნას სასწავლებლები მოსწავლეთა დაუსჯელად და თუ მაშინაც სწავლა არ დაიწყება და ისევ მალე შესწყდება, მაშინ ყველა სტუდენტები დათხოვნილ იქნებიან; პროფესორებსაც ისევ დასტოვებენ და უნივერსიტეტის წეს-წყობილება ძირიანად შეიცვლება; სახელმწიფოს სხვა და-სხვა საჭიროებათა მიხედვით ახლო წესდებას შეიმუშავებენ. ეგზამენების შესახებ კითხვა ასე გადასწყდა: ეგზამენები მოხდება სასწავლებლებში კი არა, არამედ სახელმწიფოს სათანადო დაწესებულებებში. დაბოლოს კრებამ დაადგინა: მომავალ აკადემიურ წლის პირველი ნახევარი აღიარებულ იქმნას აწინდელ სასწავლო წლის მეორე ნახევრად; შემდეგ მომავალ მეორე ნახევარში ისე უნდა განაწილდეს სასწავლო პროგრამა, რომ ამ ორ წელიწადში აღდგენილ იქმნას სწავლის ნორმალური მსვლელობა. ყველა ამას სხდომა თანაგრძნობით მიეგება.

⁂ ფინლიანდიის სეიმის წოდებათა კრებაზე ცხარე ბაასი იყო: სასულიერო წოდება, თავად-აზნაურობა, გლეხობა ყველა ერთხმად თხოულობდ❘— წელს სამხედრო ბეგარა ფინლიანდიამ არ გადიხადოსო. თავად-აზნაურთა კრებაზე ვ. რამზაიმ განაცხადა, ის ყმაწვილი კაცი, რომელიც ჯარის კაცად არ გავა, თავის მოქალაქობრივ მოვალეობას სამშობლოს წინაშე პირნათლად შეასრულებსო. ორატორის აზრით, ფინლიანდიის იდეალის განხორციელება იქ❘ ნება, „არც ერთი ფინლიანდიელი ყმაწვილი კაც❘ ბეგარის გადასახდელად რომ არ გამოცხადდესო" ყველაზე გაბედულად ფელიკს ხეიველი ლაპარაკო❘ და, რომელიც ამტკიცებდა, რომ სამხედრო ბეგარი❘ არსებული წესის უარყოფა არამც თუ შეგვიძლიან❘ არამედ ჩვენი პირდაპირი მოვალეობა არისო; გინ❘ დაც სეიმმა მოიწონოს ეს წესდება, მის შესრულ❘ ბას ფინლიანდიელებს ვერავითარი ძალა ვერ აიძუ❘ ლებსო. (რ. ვ.)

⁂ როგორც ვიცით, უმაღლესმა რესკრიპტმა ნება დართო ყველას, კერძო პირთაც კი, გამოსთქვან თავის აზრი სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლის შესახებ. ამ უფლებით ისარგებლა იურიდიულმა საზოგადოებამ და რამდენიმე მოხსენების განხილვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს თავის კრებაზე ეხლა, როგორც „რუსი“ იუწყება, იურიდიულ საზოგადოებას აეკრძალა სჯაბაასის განგრძობა. (ვ.)

*** **პეტერბურგი.** 20 მარტი. ოფიციალურად. «შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვაცხადებთ ამით, რომ შევიწყნარეთ უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა ფინლიანდიის საერობო დაწესებულებათა სამხედრო საქმის მოწყობის შესახებ ფინლიანდიაში და, მივიღეთ რა მხედველობაში რომ საბოლოოდ გადაწყვეტა ამ შუამდგომლობისა შეუძლებელია, ვიდრე არ დამთავრდება შრომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განსაზღვროს საერთოდ სახელმწიფოს და კერძოდ ფინლიანდიის საკანონმდებლო უფლებანი, — ჩვენ საკეთილოდ ვსცანით დროებით შეჩერებულ იქმნას 29 ივნისს (12 ივლისს) 1901 წ. დამტკიცებულ სამხედრო ბეგრის დებულების მოქმედება ფინლიანდიაში იმ პირობით, რომლებიც განმარტებულია ჩვენს ბრძანებაში საერობო დაწესებულებათადმი».

ნამდვილს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია **„ნიკოლოზ“**, ცარსკოე სელო.

აღნიშნულ ბრძანებით ფინლიანდიის ხაზინას დაევალა 1905 წლის 1 იანვრიდან 1907 წლის გასვლამდე აძლიოს სახელმწიფო ხაზინას ყოველ წელს დასახმარებლად სამხედრო საჭიროებისათვის, იმა ქვეყნის შეძლების კვალობაზე, მხოლოდ ათი მილიონი მარკა.

უმაღლესი დადგენილება. ხელმწიფე იმპერატორმა, ფინლიანდიის საერობო დაწესებულებათა წარდგენით, თავის თანადასწრებით ცარსკოე სელოში 18 მარტს (29) 1905 წ. უმაღლესად ბრძანა გაუქმებულ იქმნას 1 აგვისტოს (14) დამტკიცებული დროებითი დებულება სასამართლოს უწყების მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნის წესის შესახებ.

*** „სინ ოტეჩესტვა“-ს გაუგია, რომ ბულიგინმა გადასწყვიტა მოკლე ხანში მოიწვიოს ერობის წარმომადგენლები, რომელთაც საერობო კრებანი აირჩევენო. შემდეგ კომისია შეუდგება იმის წესების შემუშავებას, თუ როგორ უნდა აირჩიონ წევრები იმ დაწესებულებისა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საკანონმდებლო მოქმედებაში.

*** დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მკვლელს სულ მოკლე ხანში გაასამართლებენ. ამისათვის მოსკოვში მიდის სენატის საგანგებო საკრებულო. მკვლელს აქამდე არ უთქვამს თავის სახელი. ამიტომ მას გაასამართლებენ როგორც დიდის მთავრის მკვლელობისათვის, ისე მაწანწალობისათვის (ბროდიაჟნიჩესტვო) (რ. ვ.)

*** პოლიციის დეპარტამენტის რეფორმა სულ მოკლე ხანში მოხდებაო, სწერს «ბირჟ. ვედ.» ეხლა არსებულ წესით პოლიციის დეპარტამენტს ორ-გვარი საქმეები აქვს: პოლიტიკური და საკანცელარიო. ეხლა განზრახვა აქვთ სრულიად მოსპონ პოლიციის დეპარტამენტი: პოლიტიკურ საქმეებისათვის დანიშნული იქნაბა საგანგებო განყოფილება, საკანცელარიო საქმეები-კი გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო დეპარტამენტს.

*** გაზეთ „ნოვოსტ“-ში ვკითხულობთ: ამ დღეებში პარიზის სხვა-და სხვა უბანში პოლიციის ბრძანებით ათმა კომისარმა რამდენიმე ბინა გაჩხრიკა. გაზეთი „ფიგარო“ ამტკიცებს, რომ პარიზის პოლიციამ, რუსის პოლიციის ჩვენებით, აღმოაჩინა რუსი ემიგრანტების შეთქმულობა. რომელსაც მიზნად ჰქონდა რუსეთში რევოლიუციის გამოწვევა. შეთქმულებს ბევრი მომხრე შეუძენიათ ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში, სადაც ყველგან პარიზისებური გაჩხრეკა მოახდინეს. პარიზში ოცამდე კაცს უპოვეს ბევრი წერილები და ქაღალდები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში გადასცეს. შესაძლებელია, რომ ამ გაჩხრეკას მოჰყვეს ბევრ ემიგრანტ განდევნა პარიზიდან.

*** რუსეთის ეკკლესია კ. პობედონოსცევის შუამდგომლობით, საეკკლესიო მრავარ-გამგეობის რეფორმის საქმე მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციიდან გამოირიცხა და გადაეცა უწმიდესს სინოდს. (ნ. ვ.)

*** „დეილ-ექსპრესსი“ იუწყება, ლაგორში მიწის ძვრას 16 ევროპიელი უმსხვერპლია, დარსალში დაშავებულა 1400, მათ რიცხვში 400 სალდათია. განსაკუთრებით ძლიერ დაინგრა ის ნაწილ, სადაც ადგილობრივი მკვიდრნი ცხოვრობდნენ. სხვა ადგილებშიაც მიწის ძვრას უმთავრესად ადგილობრივი მცხოვრებნი უმსხვერპლია, ჯერ ჯერობით ნამდვილი ცნობები არ მიგვიღია. ამბობენ სამხრეთ ოლქებში ხალხი ათასობით დაღუპულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** სოხუმის საეპარქიო-მეთვალყურე (დეკანოზი იასტრებოვი) და ეპისკოპოსის მდივანი, მუქარის წერილების მიღების შემდეგ, სადღაც წავიდნენო. („ცნ. ფურ.)

*** გაზეთი „სინ ოტეჩ.“ შემდეგ საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს: „როგორც გავიგეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრად აქვს დანიშნოს კომისია იმ მიზეზთა გამოსაკვლევად, რამაც გამოიწვია გურიაში სააგრარო მოძრაობა, ხოლო დასავლეთ მხარეში (პოლონეთსა და სხვაგან).

*** ამბობენ, სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკ. ვოსტორგოვი სხვაგან გადაჰყავთო. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი.

*** ტფილისში ხმა დადის, რომ ტფილისის გუბერნატორი სხვაგან გადაჰყავთო.

*** ტფილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის გამგე-უფროსად, სინოდის განკარგულებით, დაინიშნა კნ. ნინო მერაბის ასული თავდგირიძისა. ქ-ნი თავდგირიძისა ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლის უფროსად იყო, მაგრამ ადგილობრივ სასულიერო სამოსწავლო უწყების მიერ შარშან გადაყენებულ იქნა სამსახურიდან მოწაფეთა არეულობის გამო. კნ. თავდგირიძისა წავიდა პეტერბურგს და იქ განასაჩივრა ეს განკარგულება. უწ. სინოდმა სამართლიანად იცნო კნ. თავდგირიძის მოხსენებანი, სრულებით გაამართლა იგი და დაადგინა: როცა განთავისუფლდება ადგილი ქუთაისსა ან ტფილისში, ყველაზე უწინარეს დაინიშნოს კნ. თავდგირიძისაო. ეხლა, როგორც ვიცით, თფილისში განთავისუფლდა ადგილი და კიდევაც დაუნიშნავთ სასწავლებლის უფროსად.

---

## კავკასიის მცხოვრებთ.

30 მარტს კავკასიის ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისაგან მივიღე შემდეგი დეპეშა:

«ხელმწიფე იმპერატორის სურვილით მოწოდებული ვარ ჩემთვის ძვირფას კავკასიის მართვა-გამგეობის მეთაურად. სამწუხაროდ, ისეთ დროს დამევალა ეს თანამდებობა, როდესაც ყოველ დღე ამბები მოდის კეთილდღეობის დარღვევისა, არეულობის, ძარცვისა და სხვა-და სხვა ძალ-მომრეობის შესახებ. როგორც ძველი სალდათი, შესაძლოთ არა ვსთვლი უარ-ვყო ბრძოლის დროს სამსახურში მოწოდება. ამასთანავე მტკიცე იმედი მაქვს, რომ შესაძლო იქნება კავკასიის სრული დამშვიდება და ნაყოფიერ წარმატების გზაზე დაყენება. დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის მკვიდრნი ერთგულ-ქვეშევრდომნი არიან ხელმწიფე იმპერატორისა, რომლისთვისაც ერთნაირად ძვირფასნი არიან კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხნი. მივმართავ ყველა მკვიდრთ, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, დახმარება გამიწიონ სამშობლო ქვეყანაში კეთილ წესიერების დასამყარებლად. კავკასიაში მშვიდობიანის გზით წესიერების დასამყარებლად კი საჭიროა ყველა საზოგადოებრივ ძალთა დახმარება. მრწამს ხალხის სიბრძნე და დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის აღშფოთებული ნაწილი ვერ გაუძლებს კეთილ-მოაზრე უმრავლესობის საერთო კვეთებას, ხელმწიფე იმპერატორის განკარგულებით, ჩემ-მიერ მოწვეულ იქნება კავკასიის ხალხის წარმომადგენელთა თათბირები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ თავად აზნაურთა, ქალაქთა და სასოფლო-საზოგადოებათ მიერ არჩეული წარმომადგენელნი, აგრეთვე წარმო მადგენელნი მართლ-მადიდებელ, სომეხ-გრიგორი და მაჰმადიან სამღვდელოებისა. თათბირებს წინად დება მიეცემათ გამოსთქვან თავიანთი აზრი ი შესახებ, თუ რა და ზომები უნდა იქნეს დაუყოვნ ბლივ მიღებული, რათა მოისპოს ყაჩაღობა, ძარც და უწესოება; თათბირებმა უნდა გამოარკვიონ აგ რეთვე, თუ რამდენად საჭიროა შეცვლილ იქმნას, კავკასიაში არსებულ სასამართლოს წყობილება, განსაჯონ, რამდენად შესაძლოა და მიზნის შესაფერი შემოღებულ იქნას კავკასიაში დებულება საერობო დაწესებულებათა შესახებ. გარდა ამისა ყველა ჩემ დამოკიდებულ საშუალებას ვიხმარ, რომ დაჩ ბულ იქმნას ადგილების გამიჯვნა, გამოირკვას რა ოდენობან სახაზინო მიწებისა, რომელნიც გამოდ გება მიწის უქონლობით შევიწროვებულ მკვიდრთ დასასახლებლად სრულიად სომეხ-და კათოლიკოსი უქვეშევრდომილეს თხოვნის პატივსაცემლად, უმაღ ლესად ნაბრძანებია ხელ-ახლად განხილულ იქმნას საქმე ხაზინაში გადაცემულ სომხის ეკლესიის ქო ნებათა შესახებ.

დარწმუნებული ვარ, მთავრობის დაწესებულე ბების ყველა მოსამსახურე გამსჭვალული იქნება ი რწმენით, რომ ძნელ დროში მეტად საჭიროა, სვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისის მცნების თანახმად შემოიკრიბონ ძალ-ღონე ყველასათვის საჭირო კეთილ-დღეობის მისაღწევად: სახეში უნდა იქონიონ კავკასიის წარმატება და კეთილ-დღეობა, იმ საფუძველზე დამყარებული, რომელიც აღნიშნულია ხელმწიფე იმპერატორის მიერ ჩემ სახელზე ბოძებულ რესკრიპტში.

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

ვაცხადებ რა ზემოაღნიშნულ დეპეშას, მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის მკვიდრნი სავსებით დააფასებენ კავკასიის ნამესტნიკის საყურადღებო განცხადებას. აღნიშნულ დეპეშით მკვიდრთ ეუწყებათ, რომ ამ მოკლე ხანში კავკასიაში შემოღებულ იქნება ძირითადი რეფორმები, რომელნიც შეეხებიან ხალხის ცხოვრების უაღრეს მხარეს და განხორციელებულ იქნებიან ხალხის წარმომადგენელთა უახლოეს მონაწილეობით, სარწმუნოების, ეროვნების და წოდების განურჩევლად. ამ ძნელ საქმის დაწყებისა და კეთილად დასრულებისათვის მეტად საჭირო დამყარდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშვიდობიანობა, რათა შეძლება მიეცეს ხალხს უშფოთრად, დაუბრკოლებლად განსაჯოს თავისი საჭიროება და გონიერად მოეკიდოს მომავალ შრომას. ამის გამო ვიწვევ ხალხს დამშვიდდეს, დაიცვას წესი და კანონიერება, რათა ამ გზით დაჩქარებულ იქნას კავკასიის მონაწილეობა რუსეთის შინაგან რეფორმებში იმ საფუძვლით, რომელიც აღნიშნულია უმაღლესად ბოძებულ რესკრიპტში: 18 თებერვალს— შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე და 26 თებერვალს—კავკასიის ნამესტნიკის სახელობაზე.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის ამასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი

მალამა.

---

*** 1 აპრილს, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება გახსნა თავმჯდომარემ თავ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანმა. აუარებელი გარეშე ხალხიც დაესწრო ამ კრებას. თავმჯდომარემ გამოუცხადა, რომ თავად-აზნაურთა გუშინდელმა კერძო კრებამ დაწვრილებით განიხილა ორი პროექტი ხელმწიფის სახელობაზე გასაგზავნ ადრესისა და დღეს, ვგონებ, ბევრი სალაპარაკო არა გვექნება-რა. წავიკითხოთ ადრესის პროექტები და ერთ-ერთი იმათგანი მივიღოთ ხმის ჩამოტარებით. აი ეს ადრესი:

„ხელმწიფევ!“

„ტფილისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა, პირველად შეიკრიბა რა საგანგებო კრებაზე სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ, უქვეშევრდომილესად ულოცავს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას და ხელმწიფე დედოფლებს ამ სასიხარულო ამბავს როგორც თქვენ უავგუსტოესის ოჯახისა, ისე რუსეთის სახელმწიფოსათვის.

«მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელსაც რუსეთი იტანს როგორც ბრძოლის ველზე, ისე შიგნით იმპერიაში, ქართველი თავად-აზნაურობა რწმენითა და იმედით შეჰყურებს მომავალს. ამ თავად-აზნაურობას კეთილის მოსასწავებელად მიაჩნია ის გარემოება, რომ სამეფო ყრმის აკვანს აშუქებს ახალ ცხოვრების განთიადი, გადმოცემული ტახტიდან 18 თებერვლის რესკრიპტით. ეს რესკრიპტი პირველი სხივი იყო ომისა და უბედურების ძნელ წელიწადს.

«ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში, როდესაც რუსეთი მოწოდებულია შემოქმედებით მუშაობისათვის, ქართველ თავად-აზნაურბას, ისევე როგორც მთელ ქართველ ხალხს, დიდ რუსეთთან ერთობის ერთგულს, იმ ერთობის ერთგულს რომელიც განმტკიცებულ იქმნა სამოქალაქო ასპარეზზე და აღბეჭდილ იქნა ბრძოლის ველზე ერთ დროშის ქვეშ დაღვრილ სისხლით, მოძმე რუსის ხალხთან ერთად, მტკიცედ სწამს, რომ ახლოა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენელნი, ეროვნების განურჩევლად, შეუდგებიან მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის საქართველოსაც, რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისაგან.

«თავად-აზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლების და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნება ყოფლობით იმასთან შეკავშირებულს. მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულს მთელის საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ქართველი თავად-აზნაურობა, ზემო-აღნიშნულს დასცემს რა თქვენის იმპერატორებით ფეხთა წინაშე, ღრმად დარწმუნებულია, რომ აასრულებს თავის მოვალეობას ტახტისა დ სამშობლოს წინაშე".

კენჭი ყარა გათავდა ექვსის ნახევარზე, თეთრი ამოჩნდა 44, შავი 6. ამ რიგად ადრესი მიღებულ იქმნა.

* * * ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს ახალი განცხადება გამოუცია. ეს განცხადება ადგილობრივ ყველგან არის გაკრული განცხადებაში მოხსენებულია, რად მიიღო მთავრობამ სასტიკი ზომები ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოდ, კინტრიშის საბოქაულოში, ქუთაისს, ბათუმსა და ფოთს. „მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის ასე ჩქარა გავრცელების ერთად ერთი განსაკუთრებული მიზეზი ის, ყოველ შეგნებულ კაცის აღმაშფოთებელი, ძალმომრეობა და ცეცხლის წაკიდებაა, რომელსაც ხმარობენ ბოროტ-მოქმედების რამდენიმე ხელმძღვანელი და მომხრე ამ მოძრაობის გულგრილად მაყურებელთა და არ თანამგრძნობთა უმრავლესობის შესაშინებლად. მოძრაობის ხელმძღვანელებმა მართლაც მოახერხეს და ძალა დაატანეს იმ ხალხს, რომელნიც მათ არ თანაუგრძნობენ, მონაწილეობა მიეღო ისეთს ბოროტ-მოქმედებაში, რომელში გარევაც აუცილებლად საზიზღარია ყოველის პატიოსანის ბუნების მქონე კაცისთვის... მშვიდობო მცხოვრებნო, თქვენ გატყუებენ ეკონომიურ კეთილ-დღეობის დაპირებით, რაიც სრულიად მიუწდომელია, გაღებინებენ მონაწილეობას ავაზაკურს საქმეებში რუსის მთავრობისა და იმის აგენტების წინააღმდეგ, ხშირად თვით განზე რჩებიან ეს მქადაგებელნი და მეთაურები და თქვენ კი თავს გახვევენ საშინელს პასუხის გებას კანონისა და სამხედრო სამართლის წინაშე... მტკიცედ დაიმედებული ვარ თქვენზე და თქვენს ძალაზე და ღრმად დარწმუნებული, რომ ნათლად ხედავთ საშინელს ვნებას, რომელიც და თქვენს შვილებს უდიდეს უბედურებას უქადით... შემაძლებინეთ მხვერპლ შეუწირავად შევასრულო უმაღლესი ბრძანება, თქვენის მშობელ ქვეყნის დამშვიდებასა და კანონიერ მმართველობის აღდგენის საქმეში... მოვალეობად ვრაცხ ერთხელ კიდევ მოვაგონოთ, რომ მხოლოდ ამ პირობებით შეიძლება იმ სამწუხარო შემთხვევებისა და უბედურების თავიდან აცდენა, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს მკაცრ ზომებს, რომელსაც იძულებული გავხდები მივმართო, უკეთუ ვერ მოვიპოვებ თქვენგან საჭირო დახმარებას. ამ ზომებისაგან, სამწუხაროდ დიდი განსაცდელი დაადგება თვით კეთილ საიმედო პირთაც...

* * * 30 მარტს გაძარცვეს ქართლ-კახეთის საეპარქიო სანთლის ქარხნის მაღაზია ოლგას ქუჩაზე. საღამოს 9 საათზე, როცა მაღაზიას ჰკეტავდა მსახური ნიკოლოზ დუჩიძე, მასთან შევიდა სამი უცნობი კაცი და სთქვა, სანთელი გვინდა რამდენიმე გირვანქა და მოგვყიდეო. რადგან მაღაზიის წინა განყოფილებაში ბნელოდა, დუჩიძე გასულა მეორე ოთახში ლამპის გამოსატანად. უცნობებს უსარგებლნიათ ამით, მაღაზიის კარები მოუკეტიათ, ლამპით ხელში მომავალ დუჩიძისათვის რევოლვერი დაუმიზნებიათ. შემდეგ უცნობთ ცხვირსახოცით დუჩიძისათვის პირი შეუკრავთ და მოუთხოვნიათ ფული. ერთი შესდგომია დუჩიძის ჯიბეების ჩხრეკაწ და 1075 მან. 56 კაპ. აუცლია, შემდეგ ამოუღიათ კასიდან 60 მანეთი, მერე ხელ-ფეხი შეუკრავთ დუჩიძისათვის, ქუჩაში გამოსულან და დამალულან. დუჩიძემ პოლიციას ეს ამბავი იმ საღამოსვე აცნობა, მაგრამ გვიანღა იყო.

* * * სასულიერო სემინარიაში წელს, სინოდის გადაწყვეტილებით, უეგზამენოდ უნდა გადაიყვანონ მოსწავლენი ერთის კლასიდან მეორეში. (რ. ს.)

* * * ქუთაისის დროებითმა გენერალ-გუბერნ[ა]ტორმა თავ. ი. ჯამბკურ-ორბელიანმა თავისს ხელქვეით მთავრობას გაუგზავნა შემდეგი ბრძანება: «მაზრის უფროსთა ცნობებიდანა სჩანს, რომ ზოგეირთ საზოგადოებაში აგიტატორების წაქეზებით ხალხმა განდევნა მამასახლისები და სხვა მოხელენი, ხოლო მათ მაგივრად დააყენა ასის თავები, ათის თავები და სხვანი. ამას გარდა, ხალხს გაუნადგურებია სოფლის სამმართველოს შენობანი და დაუწვავს საქმეები. ამიტომ ვუბრძანებ მაზრის უფროსებს: თანამდებობიდან გადაყენებულ სოფლის მოხელეთა უფლება დაუყოვნებლივ აღადგინონ და თუ, ისინი თავიანთს მოვალეობაზე უარს განაცხადებენ, დ[...]შონ მთავრობის მამასახლისები, მათი თანაშემწენი და მწერლები—სოფლის ხარჯზე. დაქცეული შენობანი სოფლებს ხელახლა გააკეთებინონ, მანამდე კი სოფლის სამმართველოებისთვის სადგომები მცხოვრებთა ხარჯით დაიქირაონ. (ჩ. ვ.).

ეროვნული

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

## ვნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

### დღესასწაული ურიათა პასექისა.

მოახლოვდა ურიათა პასექის დღესასწაული. ეს იყო მეოთხე პასექი მას შემდეგ, რაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაიწყო თავისი ქადაგება, და უკანასკნელიც მის ქვეყნიურ ცხოვრებაში. მოსეს პასექს იესო ქრისტესათვის ჰქონდა განსაკუთრებით დიდი და წმიდა მნიშვნელობა: საპასექო კრავი, რომელიც ებრაელებს აგონებდა (მოაგონებდა) იმ სიკეთეს, რომელიც ღმერთმა მიანიჭა მათ ეგვიპტელთა მონობისაგან გამოხსნით, იმავე დროს ღვთის განგებულებით უმეტესად ნიშნავდა კიდევ მაცხოვრის პიროვნებას, მის დაკვლას და მისი სიკვდილით ცოდვისა, სიკვდილისა და ეშმაკის მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლებას. პასექზე ამნაირი შეხედულობის შემდეგ უფლისათვის ყველაფერი მასში შესანიშნავი და დიდ-მნიშვნელობიანი იყო პასექის დღესასწაულობით ის, შეიძლება ასე ითქვას, ყოველთვის წინადღესასწაულობდა თავისს სიკვდილს. ახლა, როცა დადგა ის ჟამი, ოდეს ნიშანი უნდა შეეცვალა თვით საქმეზე—საპასექო კრავის სისხლი თავისს საკუთარ სისხლზე—მოახლოებულ პასექის დღესასწაულს განსაკუთრებით დიდის სიხარულით მოელოდა იესო ქრისტე; ამასთანავე პასექის სერობაზე ის უნდა გამოთხოვებოდა თავისს საყვარელ მოწაფეებს და, სანამ ნებსით ვნებაზე წავიდოდა, გაემართა მათთან თავისი უკანასკნელი და გამოსათხოვარი საუბარი.

რადგან მოწაფეებმა კარგად იცოდენ, თუ როგორ წმიდად დღესასწაულობდა ხოლმე მაცხოვარი პასექს, ამიტომ ისინი ხუთშაბათს დილიდგანვე შეუდგენ ამ დღესასწაულის თადარიგზე ფიქრს. მაგრამ მოძღვარი არავითარ განკარგულებას არ იძლეოდა; ამიტომ მათ გადასწყვიტეს გაეგებიათ მისთვის ამის თაობაზე. მაშინ მაცხოვარი მიუბრუნდა იოანეს და პეტრეს და უთხრა: წადით ქალაქში, სადაც შესავალშივე შეხვდებით კაცს რომელსაც წყალი მიაქვს ჰურჭელით, გაჰყევით მას და მიხვალთ ერთ სახლში, რომლის პატრონსაც გააგებინებთ ჩემ სურვილს, რომ მინდა მის სახლში ვიდღესასწაულო პასექი. სახლის პატრონი, რომელიც, ზოგიერთის ფიქრით, უნდა ყოფილიყო იოსებ არიმათიელი, მოგცემსთ თქვენ სახლის ზემო სართულში მოზრდილ და მორთულს, პასექის დღესასწაულისათვის სრულიად მზა ოთახს.

პეტრე და იოანე ქალაქში რომ მივიდენ, ყოველივე ის ნახეს, როგორც უთხრა მათ მოძღვარმა. დაიკავეს ოთახი და რაც კი პასექისათვის საჭირო იყო, შეუდგნენ მის მომზადებას, ე. ი. იყიდეს, უთუოდ, ტაძრის გალავანში საპასექო კრავი, დააკვლევინეს მღვდელს და, როცა შინ დაბრუნდენ, შესწვეს ის, როგორც ამას მიღებული წესი მოითხოვდა, მოამზადეს მწარე ბალახი (მწვანილი) და აგრეთვე ყოველიფერი, რაც კი პასექისათვის საჭირო იყო.

საღამოს კი, როცა ღამის წყვდიადს შეეძლო დაეფარა მაცხოვარი არა-სასურველ მეთვალყურეთაგან, ის თავისი მოწაფეებით წავიდა იერუსალიმში იმ ნაცნობ გზით—ზეთისხილის მთით—რომელზედაც შემდეგში მისი წმიდა ფერხნი არასოდეს აღარ გაივლიდენ. რომ მივიდენ, ყველაფერი გამზადებული იყო პასექის სადღესასწაულოდ.

### მაცხოვარმა ფეხი დაბანა მოწაფეთა.

რაჟამს დიდებულნი მოწაფენი საბანელსა მას სერობისასა განათლდებოდეს, მაშინ უსჯულო იუდა, ვეცხლის-მოყვარეობისა სენითა დაბნელდებოდა, და უსჯულოთა მსაჯულთა, შენ მართალსა მსაჯულსა მიგცემდა, იხილეთ ჰოი მორწმუნენო, ტრფიალი იგი ვეცხლისა, რომელმან ამისთვის შიშთვლიბა და ივლტოდეთ უძლებისა მისგან სენისა, რომელსა მოძღვარსა თვისსა ზედა ესე-ვითარი იკადრა, არამედ რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, კაცთ-მოყვარე დიდება შენდა.
(ტროპ. დიდ ხუთშაბათასა)

აღმოსავლეთურ ჩვეულებით, უთუოდ ჯერ ფეხები უნდა დაებანათ და მერე დამსხდარიყვნენ სერობის საჭმელად. ყველაფერი რაც კი საჭირო იყო გასაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავად, პირველადვე იყო ოთახში მომზადებული,— არ იყო მხოლოდ მოსამსახურე, ვისაც უნდა შეესრულებია ეს საქმე. ძმური სიყვარულის გამოსახატავად სწორედ მშვენიერი შემთხვევა იყო ერთი-მეორეს მსახურებოდენ. მაგრამ ამ დროს სულ სხვანაირ აზრზე იყვნენ იესო ქრისტეს მოწაფენი: სიმდაბლის მაგიერ მათ გულში ტრიალებდა „სული ამპარტავნებისა"; ასე გაშინჯეთ, კითხვებიც კი მოისმოდა, თუ მათ შორის ვინ უფრო დიდია, ან უფრო დაბალიო (ლუკ. 22, 24—26). არავის არ უნდოდა ყოფილიყო მეორეზე დაბალი და მით უმეტეს—ყველაზე დაბალი; ამნაირად ყველა ფეხდაუბანელი რჩებოდა: ნაღვლიან დუმილით უგდებდა მაცხოვარი ყურს ამისთანა დიდებულ და თანაც სამწუხარო წამებში ამ უადგილო დავას რომელიც აჩენდა, თუ როგორ ნაკლებად ესმოდათ მოწაფეებს მისი მოძღვრების აზრი. ამიტომ მან გადასწყვიტა არა უბრალო, სიტყვიერ მხილებით, არამედ დიდ-შესანიშნავ და გულის გამგმირავ მოქმედებით მიეცა მათთვის სიმდაბლის ფრიად მაღალი გაკვეთილი. მაცხოვარმა გაიძრო ზემო სამოსელი და მოირტყა არდაგი (პირსახოცი); აიღო წყლიანი ჭურჭელი და, ყველას გასაოცრად, დაუწყო ფერხთა ბანვა თავისს მოწაფეთ და შეხოცა არდაგით. პირველი მოწაფე, ღრმად გაკვირვებული, ძალა-უნებურად ემორჩილება მას: ამის მაგალითს მისდევენ სხვებიც; მაგრამ აი რიგი მიდგა სვიმონ იონასაზე (პეტრეზე). მგზებარე სულმა მისმა ველარ დაიტია ის აზრი, რომ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, უნდა ემსახუროს მას მონის მაგიერ.



— უფალო! შენ დამბანა ფერხთა ჩემთა? (იოან 13, 6)

—„რომელსა მე ვიქმ, მიუგო უფალმა, არა იცი აწ, ხოლო სცნა ამისა შემდგომად". (იოან 13, 7)

მაცხოვრის ამ სიტყვების მშვიდი და საიდუმლო სიდიადე ითხოვდა სწრაფსა და სიტყვის შეუბრუნებლად დამორჩილებას. მაგრამ პეტრე, გამსჭვალული თავის მოძღვრისა და უფლისადმი ღრმა მოწიწებით განაგრძობდა მაცხოვრის განზრახვის—მისთვას ფეხების დაბანვის—წინააღმდეგობას და მან კვლავ წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—«არა დამბანნე ფერხნი ჩემნი უკუნისამდე». (იოან 13, 8). ყოველივე ამის მოძრაობა ამტკიცებდა, რომ უსათუოდ აასრულებდა თავისს სიტყვას.

—უკეთუ არა დაგბანნე შენ ფერხნი, მიუგო უფალმა უფრო მაღალი ხმით, არა გაქვნდეს ნაწილი ჩემთანა. დაჰკარგოს ადგილი ძისა თანა ღვთისა... განა ეს შეიძლება? ამიტომ პეტრემ წარმოსთქვა:— «უფალო! ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი» (იოან 13, 9)

ამისთანა მხურვალე ვედრებაზე მაცხოვარმა მშვიდად უპასუხა:

—განბანილსა მას არა უხმს, გარნა ფერხნი ხოლო დაბანად, რამეთუ კვლავ წმიდა არს იგი (იოან 13, 10). ე. ი. განბანილს მხოლოდ ფეხის დაბანვა ეჭირვება, რადგან სრულიად წმიდაა იგი.

იესომ, მოწაფეების ფერხთა ბანვა რომ გაათავა, ისევ ჩაიცვა სამოსელი თვისი, დაჯდა სერობად და უთხრა მათ მნიშვნელობა თავისი მოქმედებისა. ხმის ამოუღებლად ისმენდენ მოწაფენი სიმდაბლისა და ურთიერთის სიყვარულის საჭიროების შესახებ მოძღვრისა და უფლის სიტყვებს და ამავე სიტყვებში კითხულობდენ ისინი საყვედურს თავისი ამპარტავნების და განდიდების სურვილის წინააღმდეგ. ყველასვე მწუხარება ეხატებოდა სახეზე. და აი ამდონ ხნის ტკბილი საუბარი ქრისტესი უეცრად იცვლება. ამის საყვარელ საზოგადოების შორის გამცემლის ყოფნამ შეაშფოთა მისი კაცობრივი ბუნება, კაცობრივი მისი სული: „იესო, მოგვითხრობს წმ. იოანე, შეჰძრწუნდა სულითა“ და იმ საათშივე ბაგეთაგან მოისმა საშინელი წინასწარმეტყველება:

„ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, სთქვა უფალმა, თითქოს თავისს კაცობრიული მხრივ სულიერ მდგომარეობის გამოსახატავად და ასახსნელად, ერთმა თქვენგანმა მიმცეს მე“! (იოან 13 21). ამ სიტყვების გაგონებაზე რაღაც ბოროტმა წინასწარ-გრძნობამ მოიცვა მოწაფეების გული და ღრმა, გამოუხატველმა მწუხარებამ დაღრუბლა მათი მხედველობა! ამ საზოგადო შეძრწუნების წამს ისინი კრძალვით და გაუბედავად ეკითხებიან მოძღვარს: „ნუ უკუ მე ვარ უფალო?“ მაცხოვარი დაბალი ხმით უპასუხებს იოანეს: „რომელსა მე დავაწო პური და მივჰსცე, იგი არს“ (იოან 13, 26) და მაშინვე ამოუწო პურის ნატეხი და მისცა იუდა სვიმონის ისკარიოტელს. ამანაც აიღო პური და ძალით შეჭამა, და ამ პურთან ერთად, როგორც იოანე მახარებელი შენიშნავს, ჩავიდა მის გვამში ეშმაკი. გამცემლის სახემ, უთუოდ, სწრაფად მიიღო დაღრეჯილი და საზარელი გამომეტყველება. იესოს წმინდა საზოგადოება აუტანელი შეიქნა კაცისათვის, რომელსაც გვამში ეშმაკი ჰყავდა და ამისმა ძალამ ის გაიყვანა აქედგან. „იყო ღამე, ვითარცა განვიდა“ (იოან 13, 30), შენიშნავს წმ. იოანე, და ამ შენიშვნით თითქოს ფარდა უნდა ჩამოაფაროს ამ ბნელ და საშიშარ პიროვნებას

(შემდეგი იქნება)

მღ. ბ. კაპანაძე.

## საუბარი მოძღვრისა მრევლთან სარწმუნოების შესახებ,

თქმული ყვირილის წმიდათა მთავარ-მოწამეთა დავით და კოსტანტინეს ეკკლესიაში, დიდმარხვის პირველ კვირას.

დღეს, როგორც იცით, ძმანო ქრისტიანენო, არის პირველი კვირა დიდი მარხვისა, რომელიც იწოდება მართლმადიდებლობის კვირედ. თუ დააკვირდით, ძმანო ქრისტიანენო, დღევანდელ წაკითხულ სამოციქულოსა დ სახარებას, თქვენ გაიგებდით, რომ უმთავრესი ყურადღება ეკკლესიისა თავის სულიერ შვილთა მიქცეულია სარწმუნოებაზე. დღეის დღეს ყველა იმ საკრებულო ტაძრებში, სადაც არის ეპისკოპოსთა კათედრა სრულდება ანათემობა, რომელიც ზოგიერთებს საზოგადოდ, სამწუხაროდ, ჯეროვანად არ ესმის. დღეს, საზოგადოდ ყველა ხალხის მოძრაობის დროს, როცა მრავალთ სალაპარაკოდ და სადავოდ გაუხდიათ სარწმუნოება, ჩვენ ვფიქრობთ, მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვსთქვათ სამხილებელად და გასამტკიცებელად ურწმუნოთა და იჭვნეულთა, რომელნიც ჩვენ დროში ასე გავრცელდენ, სამწუხაროდ...

დღევანდელ წაკითხულ სახარებიდან ცხადათ გაიგეთ თქვენ, თუ ვინ აირჩია უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავის სახარების მოციქულებად, სახარების მოძღვრების გასავრცელებლად „ყოველსა ქვეყანასა ზედა.“ სახარების მოძღვრების საქადაგებლად ქვეყანასა ზედა უფალმა იესო ქრისტემ აღირჩია მეთევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნი გალილეველნი, უსწავლელნი და ნივთიერად არიბნი. საზოგადოდ ვისაც სურს თავისი სწავლა არის გავრცელება ქვეყანაზე ყოველთვის არჩევს ით პირებს რომელნიც ყოველივე მხრით წარჩინე-ლნი არიან, ნასწავლნი, მდიდარნი და გავლენით ლიერნი. მოციქულები კი ყველაფერს ამათ მოკ-ებულნი იყვნენ, მაგრამ ღვთის მადლი გადმოვიდა ათზე და ქვეყანაზე განხდა ხმა მათი და მოეფინა ყოველსა ადგილს. დღესა აღარ არის არც ერთი ადგილი და არც ერთი ხილხი, რომ იმ კუთხეში სახარება არ იქადაგებოდეს. იქ, შორს აღმოსავლეთ-ში, სადაც დღეს საშიშარი სისხლის ღვრა არის, მრავალია ქრისტიანობის თაყვანისმცემელი. ორი ათასი წელიწადი კიდევ არ გასულა, მაგრამ ქრის-ტიანობა აგერ გაუნახევრდა დანარჩენ ურწმუნო ხალხთა რიცხვს და, იმედია, რომ საბოლოვოდ ქრის-ტეს მცნება: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი", ყველასაგან იქნება აღიარებული... მცნება, სახარების სწავლა ვერ შეაჩერა ვერც ერთმა ქვეყნიერმა ძალამ. თორმეტმა მოციქულმა გალილეველმა სძლია ყოველ დევნულებას და ყოველს ადგი-ლას აღმართა ბაირაღი ჯვარისა; ვერც ერთმა ძლიერმა წარმართმა ხელმწიფემ ვერ შემუსრა იგი. განა ეს სასწაული არ არის! არ ყოფილა არასოდეს ძლეული ქრისტეს ჯვრის ბაირაღი ვიდრემდის მის ხელში დამჯერთა გულით და სულით სწამდათ მაც-ხოვრის მცნება: შეიყვარე ყოველი კაცი ვითარცა თავი თვისი. მოეპყარ ყოველ კაცს როგორც შენს ძმას ვინაიდგან ყველანი ქვეყანაზე ერთი ღვთისაგან, ერთ გაჩენილი და ერთი მამა გვყავს ცათა შინა.

არაა ქვეყანაზე ისეთი სარწმუნოება რომლის შედარებაც შეიძლებოდეს ქრისტიანეთა სარწმუნოე-ბასთან. ერთად ერთი ქრისტიანეთა სჯული აძლევს მორწმუნეთა ნებას მიიღონ სახარების მცნება თავის სურვილით და თავის ნებით. დანარჩენნი სხვა სარ-წმუნოებანი ყოველთვის ხმარობენ ძალმომრეობას კაცის სვინდისზე და ეს არის მიზეზი ამ სარწმუნო-ებათა დასუსტებისა და ეს იქნება მიზეზი საბოლოოდ მათი მოსპობისა.

სამწუხაროდ და სავალალოდ დღეს ხშირად შეხვდებით საზოგადოებაში გონებით დამახინჯებულ პირთა, რომელნიც განაცხადებენ, რომ ვითომც სარწმუნოება ქრისტიანეთა იყოს მიზეზი ხალხის გონებით განუვითარებლობისა; ვითომც სარწმუნო-ება ხელს უშლიდეს ხალხის კეთილ დღეობას აზრ-კოლებდეს სახელმწიფოთა უმჯობესად მართვა გამგე-ობაში, წინ ეღობებოდეს სწავლა-მეცნიერების გავრ-ცელებას და ვინ მოსთვლის კიდევ რაებს არ მიაწე-რენ მას? მაგრამ ესეთი ურწმუნონი და მტერნი ქრისტეს მცნებისა არა მარტო დღეს არიან გამოჩე-ნილნი, იგინი იყვნენ ორი ათას ხუთას წ. წინეთაც. იგინი მართლა იყვნენ წინასწარ მეტყველის დავითის დროს, რომელმაც ამისთანა ურწმუნოთა ზედა სთქვა: „სთქვა უგნურმა გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი, განირყვნენ და ბილწ იქმნენ იგინი, ბაძვიდენ იგინი ში-რუტყვსა უგნურსა და მიემსგვსენ მათ". ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ დღესაც მოიპოვებიან გონებით ჩლუნგნი, ურწმუნონი, იგინი იქმნებიან ვიდრემ-დის ქვეყანა იქნება. ვისაც ესმის რამე, ვისაც ქვეყ-ნიერება ცოტად თუ ბევრად გამოუკვლევია ის აშ-კარად დარწმუნდება რომ ევროპასა და ამერიკაში ქრისტეს სახარების სწავლის შემოსვლის შემდეგ დაარსებულა რამდენათაც შესაძლებელი ყოფილა კეთილდღეობა ხალხში, რიგიანი და ჯეროვანი სახელმწიფოთა მართვა-გამგეობა და გუმანიური ცხოვრება ხალხთა შორის. ქრისტეს სარწმუნოება ყოველთვის ხელს უწყობდა ხალხთა კეთილდღეობას. სახარება გეუბნება შენ: შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი, გიყვარდეს ყოველი კაცი და გებრალებოდეს საწყალი, დაჩაგრული, დავრდო-მილი, კეთილი უყავ შენს მტერსაცა. რომელ სახელმწიფოის კანონმდებელ კრებას გამოუგონია ამ მცნებათა უმჯობესი დ უაღრესი? თუ ევროპიის და ამერიკის განათლებულ სახელმწიფოთა ხალხს რწმენა პატივსა სცემენ ტაძრებსა და სამღვდელოე-ბას ჩვენში რაღა მათზე მეტი განათლებულნი აღმო-ჩნდნენ რომ ასე ამხედრდნენ სამღვდელოებაზე და ღვთის ტაძრებზე? ჩვენ ყოველი ესე მეტი განათლე-ბისაგან კი არ მოგვდის, არამედ გონებითი დაცემისაგან. მე დარწმუნებული ვარ რომ ამდენ ხალხში თქვენ არცერთს არ გექნებათ წაკითხული დაბადება და და-ბადება კი არა, არამედ სახარებაც და შეიძლება ბევრ თქვენგანს კიდეც არ გაეგონოს ეს სიტყვა და არ იცოდეს რა არის დაბადება. უცხოეთში კი, მაგალითებრ, ინგლისში ყოველ ოჯახში კვირაობით ოჯახის უფროსი კითხულობს დაბადებას და იშვია-თად ნახავთ ინგლისელს დაბადება არ ჰქონდეს წა-კითხული... დიაღ, უსუსურნი ვართ საღმრთო წე-რილის ცოდნაში და ეს უსუსურობა აშკარად გვემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნევა ყოველს საქმეში და მსჯელობაში. უჩივით მოზარდ თაობას და კი გვავიწყდება, რომ მოზარდი თაობა ჩვენგან იღებს მაგალითს და ჩვენ გვბაძავს ყველაფერში.

ჰკითხეთ, რომელსაც გინდათ, სხვა სჯულის და სარწმუნოების აღმსარებელს მათი სარწმუნოების ისტორია და მისი დოღმატები თუ დალაგებით არ მოგიყვეს თავის სარწმუნოების ისტორიას და აღსარების დოღმატებს. ჰკითხეთ ეხლა ზოგიერთ ჩვენ ქრისტიანებს ქრისტიანობის ისტორია და მართლმადიდებლობის დოღმატები თუ რამე მოგიგოს. ლოცვის ცოდნას ვინღა დაეძებს! ერთად ერთი ცოდნა ზოგიერთ ქრისტიანისათვის არის მარტო პირზე ჯვარის გამოსახვა! მაგრამ მარტო ეს არ კმარა შენთვის ძმაო. შენ ვალდებული-ხარ კარგად იცოდე შენი სარწმუნოების ისტორია და შენი აღსარების დოღმატები. ამასთან საჭიროა იცოდე რამოდენიმე ლოცვებიც, რომ შეგეძლოს საჭიროების დროს მიქცევა ღვთისადმი. შენ უნდა გესმოდეს ყოველივე წაკითხული და ნაგალობები ეკკლესიაში და მაშინ დასტკბება შენი სული და გული ეკკლესიაში ღვთის მსახურების დროს.

თუ შენ შენი სარწმუნოების ისტდრია არ იცი, თუ შენი აღსარების დოღმატები არ გაგეგება, თუ არც ერთი ლოცვა არ იცი, მოდიხარ ეკკლესიაში, მაგრამ არავითარი მონაწილეობის მიღება არ შეგიძლია არც კითხვაში, არც გალობაში, არც ლოცვის წარმოთქმა შეგიძლია, რასაკვირველია, შენი სარწმუნოება უსაქმო, უმოქმედო ყოფილა. სარწმუნოება კეთილ საქმეს მოკლებული კი მკვდარი არის.

უსწავლელი კაცი ბრმას ემსგავსება, რომელიც დიდის გაჭირვებით მიდის გზაზე და ხშირად უბედურებაც მოელის. ესეთივე უბედურია ყოველი კაცი, რომელსაც თავის სარწმუნოება არა აქვს შესწავლილი. მარტო ქრისტიანობის წოდება არ კმარა. ეცადე, რომ შენ იყო შეგნებული ქრისტიანე თუ გსურს დასტკბე შენი სარწმუნოებით და აგისრულდეს ყოველივე შენი თხოვნა ღვთისაგან, ვინაიდგან ჭეშმარიტი მორწმუნე მიიღებს ყოველსა რასაც სთხოვს ღვთისაგან.

(იაგრძელება იქნება)

## რედაქციის პასუხი.

რამდენიმე პირთ. თქვენ ძლიერ შემცდარი ხართ თუ იმას ფიქრობთ, რომ ვიღაცა კომიტეტის წევრები არიან, რომელნიც ჩადიან იმ საძაგლობას რასაც იწერებით. დღეს ყველა ყაჩაღი და ქურდი კომიტეტის წევრებად სთვლიან თავს. სირცხვილია, რომ საზოგადოება ჯეროვანად არ უხვდება ამისთანა მოქადაგეთა და ნამდვილად არ ტყობილობს მათ ვინაობას. ნუ თუ რამდენიმე მაგალითებმა ვერ ასწავლა ჭკუა საზოგადოებას? საზოგადოება ხომ ხედავს, რომ ღვთის ანაბარად არის იგი მიტოვებული? ნუ თუ დრო არ არის, რომ საზოგადოება გამოფხიზლდეს და ღამის მოქადაგეთაშორის ქურდები გაარჩიოს ნამდვილ გულშემატკივარ მოქადაგეთაგან.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება**: იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა მე-45 კრება ქ ქუთაისში 16 მარტს. დამსწრესი. – მოძღვართა კრებები საუკეთესო ფორმაა სამღვდელოების ურთიერთობისა, მღვ. ს. მაჭარაშვილისა. — გაზ. „რუსი“ და ეროვნული საკითხი. –სამაგალითო ქრისტიანე. – ოქმია ზეცას, (ლექსი) თ. როსტომ—გუძა ჩიქოვანისა, — ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე**: ვნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მღ. პ კაპანაძის.—საუბარი მღვდლისა მრევლთან სარწმუნოების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе
*Дозволено цензурою* Архимандритъ Георгій 15 Апреля *1905 г.*
Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.